ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 24 იანვარი, 2020 №19 (8283) ფასი: 60 თეთრი

## მირზა სუბელიანის შვილი: „მიხეილ კალანდია მკვლელი არ არის“



გვ.5

მიხეილ კალანდიას ძმა: „ორი წელია, კალანდიები ჩუმად ვიყავით და ყველამ თავზე გადაგვიარა“

21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# „კალაძემ რუსთაველის გადაკეტვა ძალიან გაგვიადვილა“

გვ.3

## ნიკა ჩიტაძე: „დასავლეთისგან კითხვები ღიად ისმება — ხომ არ ათეთრებს ივანიშვილი ფულს“

„თუ „ოცნება“ დასავლეთის მოსაზრებებს უგულებელყოფს, ორიენტირად რუსეთს აიღებს, თუმცა ამას ღიად არ იტყვის“

გვ.2

## გიგა მაქარაშვილი: „4 თებერვლიდან ახალ აქციებს დავიწყებთ“

გვ.3

## „ივანიშვილს გადასარჩენად ზოთაძისა და თადუმაძისნაირი გასვრილი კადრები სჭირდებაᲐ“

ლაშა ჩხარტიშვილი: „წულუკიანი ცხენში ქურდების მმართველობაზე დუმს, მაგრამ ნერვები ეშლება დახეულ ჯინსებზე“

## „2020 წლის არჩევნებისთვის კონსტიტუციაში ცვლილება ვერ შევა“

მამუკა ტუსკაძე: „პარლამენტის თავმჯდომარის წინადადება შეუსრულებადია“

გვ.4



გვ.4

## პაატა იმნაძე: „ვინც იყო უხანში და აქვს გრიპის ნიშნები, მიმართოს ეჭიმს!“

„საქართველოში კორონავირუსთან დაკავშირებით შეშფოთების საფუძველს ვერ ვხედავ“

გვ.4

## „ბოკერიას პარტია საქართველოში სომხური ლობის დასაყრდენია“

ლევან ჩაჩუა: „წულუკიანმა რაც დათესა, ის მოიმკო“

ISSN 1987-9385

2 გიორგი გახარია კონგრესმენების წერილზე: „სტრატეგიული პარტნიორები წერილებით არ უნდა საუბრობდნენ“

2 მევლუთ ჩავუშოღლუ: „საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს“

5 „22 წლის ქალი კორონავირუსით არ გარდაცვლილა. ის გრიპის ბ ტიპის ვირუსით გარდაიცვალა“

6 აშშ-ის სენატმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაამტკიცა

# ნიკა ჩიტაძე: „დასავლეთისგან კითხვები ღიად ისმება — ხომ არ ათეთრებს ივანიშვილი ფულს“

## „თუ „ოცნება“ დასავლეთის მოსაზრებებს უგულებელყოფს, ორიენტირად რუსეთს აიღებს, თუმცა ამას ღიად არ იტყვის“

**იაგო ნაცვლიშვილი**

2019 წელი „ქართული ოცნებისთვის“ დასავლეთის ქვეყნებისა და დასავლური მედიის მწვავე კრიტიკით დასრულდა. 2020 წელი ისევ კრიტიკით დაიწყო, თუმცა ბოლო ერთმა კვირამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯერ ამერიკელმა კონგრესმენმა წერილი „ტვიტერში“ გამოაქვეყნა, შემდეგ ევროპარლამენტარებმა გააკეთეს მწვავე შეფასებები, შემდეგ უკვე 4 ამერიკელი კონგრესმენის გიორგი გახარიასადმი გაგზავნილი წერილი იყო, სადაც ქვეყანაში არსებულ ყველა პრობლემაზეა საუბარი, რუსული გავლენებიდან დაწყებული, პროპორციული არჩევნებით გაგრძელებული და ანაკლიის პროექტის ჩაგდებით დამთავრებული. ბოლო აკორდი უკვე ჟურნალ „ეკონომისტის“ ყოველწლიური კვლევაა, სადაც 167-ქვეყნიან სიაში საქართველო 89-ე ადგილს იკავებს, 3 ადგილით ჩამორჩება მეზობელ სომხეთს და რეგიონში დემოკრატიის ლიდერი ქვეყნის სტატუსსაც კარგავს.

რას ნიშნავს ეს ყოველივე და სადამდე შეიძლება, გაგრძელდეს პროცესი? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

***– ბოლო პერიოდში მკვეთრად არის გაძლიერებული დასავლეთის მხრიდან საქართველოს კრიტიკა. უკვე სერიებად იქცა კონგრესმენებისა თუ ევროპარლამენტარების კრიტიკული განცხადებები. დემოკრატიის ინდექსის მიხედვით რეგიონის ლიდერი აღარ ვართ და სომხეთი გვისწრებს. სადამდე შეიძლება, მივიდეს პროცესი?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის დემოკრატიულ საზოგადოებაში უკვე ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მიმართ. მანამდე იყო ირიბი ხასიათის კრიტიკა. დასავლელ პარტნიორებს ძირითადად იმაზე ჰქონდათ პრეტენზია, რომ შერჩევითი სამართალია ქვეყანაში. სხვათა შორის, დასავლეთი არ იყო მკვეთრად კრიტიკული 20 ივნისის შემდგომ პერიოდში. 20 ივნისის მოვლენებიდან 2 კვირის თავზე ბათუმში გაიმართა კონფერენცია „საქართველოს ევროპული არჩევანი“, სადაც ევროკომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, როდესაც საქართველოში ჩამოვდივარ, კმაყოფილი ვარ, რადგან ის ასოცირდება ევროპულ დემოკრატიასთან, თავისუფლებასთანო და ა.შ. თუმცა დასავლეთმა პირადად ივანიშვილისგან მიიღო დაპირება, რომ საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემის მიხედვით ჩატარებას. როდესაც დაპირება არ შესრულდა, დასავლეთი ღია შეტევაზე გადავიდა.

***– ანუ ეს გახდა ბოლო წერტილი დასავლეთისთვის?***

– მე ასე მგონია, რომ ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი იყო. ამას დაემატა ძალის გამოყენება პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეების წინააღმდეგ. ამას ემატება სხვა საკითხებიც, მაგალითად, არაფორმალური მმართველობა, რაც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან. ყოველ შემთხვევაში, არსებობს კითხვები იმაზე, თუ რატომ მოხდა ისე, რომ ივანიშვილის ქონება გაიზარდა 300 მილიონი დოლარით.

***– ეს ფულის გათეთრების ეჭვებს აჩენს?***

– ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის მხრიდან კითხვები არსებობს. მაგალითად, ვიცით ის, რომ არჩევნების დროს მეწარმეები თანხას ურიცხავენ „ქართულ ოცნებას“. მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების დროს შემოწირულობების 95% სალომე ზურაბიშვილზე მოდიოდა. კითხვები, რომლებიც მანამდეც არსებობდა, დღეს უკვე ღიად ისმება. ეს ჩანს იმავე კონგრესმენების განცხადებებშიც ან იმ კითხვებში, რომლებიც ევროპარლამენტის ფარგლებში არსებობდა.

***– ამ კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი საკითხი ანაკლიაც ხომ არ იყო?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ზუსტად მაგის თქმა მინდოდა, რომ ანაკლიაც იყო. დასავლეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ანაკლიის პორტზე, იმიტომ, რომ მისი ამოქმედების შემთხვევაში ტვირთბრუნვა დაახლოებით 40 მილიონი ტონა იქნებოდა პირველ ეტაპზე, ხოლო მეორე ეტაპზე – 100 მილიონი ტონა.

აქედან გამომდინარე, ბევრი კითხვა გაჩნდა თუნდაც იმავე ანაკლიაზე, რატომ ჩავარდა აღნიშნული პროექტი, რომელსაც დასავლეთი განსაკუთრებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უნდა მოსულიყო ყველაზე დიდი დახმარება, სადღაც 10 წელიწადში 3 მილიარდამდე ევრო უნდა მიეღო საქართველოს. აქედან სადღაც 300 მილიონი ევრო უნდა ყოფილიყო გამოყენებული ანაკლიისა და ანაკლიის პროექტის ფარგლებში ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. უცებ კი ანაკლიის პროექტი ჩავარდა. რეალურად, ანაკლიის პროექტის ჩავარდნა დემოკრატიიდან გადახვევაა. ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ განაპირობა კრიტიკული დამოკიდებულების ზრდა დასავლეთისგან საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

***– დემოკრატიის ინდექსი გამოქვეყნდა***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გიორგი გახარია კონგრესმენების წერილზე: „სტრატეგიული პარტნიორები წერილებით არ უნდა საუბრობდნენ“

– ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან ყველა თემაზე დავსხდეთ და წყნარად, მშვიდად ვისაუბროთ; შეიძლება, წერილები არ არის ის ფორმა, რომლითაც სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები უნდა საუბრობდნენ.

ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ დავოსში ქართველი ჟურნალისტის მიერ 4 ამერიკელი კონგრესმენის წერილთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

– ჩვენ არ გვაქვს პრობლემა, რომ ყველა სახის შეფასება, თუნდაც მწვავე, სამართლიანი, შეიძლება, ჩვენი გადმოსახედიდან უსამართლო, დავსხდეთ და ობიექტურად განვიხილოთ, რასაც უახლოეს პერიოდში გავაკეთებთ.

უნდა გვესმოდეს, რომ როგორი მოტივებიც არ უნდა არსებობდეს მსგავსი წერილების ან შეფასებების მიღმა, ჩვენ გვჯერა, რომ ეს არის გულწრფელი ნაბიჯები იმ მეგობრობის და საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესის მხარდასაჭერად, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი – აშშ-ი მხარს უჭერს.

შეიძლება, შეფასებებში იყოს სუბიექტური მომენტები, რაზეც ვისაუბრებთ; ყველას ყველაფერს ავუხსნით და ყველას ყველაფერს დავანახებთ, ზუსტად ისე, ობიექტურად, როგორც ეს ჩანს თბილისიდანაც, ვაშინგტონიდანაც, ბრიუსელიდანაც და სხვა დედაქალაქებიდანაც, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად და ხაზგასმით აღიარებენ იმ პროგრესს დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანამ გაიარა. ეს სახეზეა.

ამ წერილში გარკვეული ეკონომიკური ასპექტებიც არსებობდა. საქართველო დღეს რეგიონში ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად და მდგრადად ვითარდება. ამასაც ჩვენს მეგობრებს და კოლეგებს ავუხსნით დეტალურად, ციფრებით, კონკრეტული მაგალითებით და იმ შედეგებით, რასაც ჩვენ ყველანი ერთად ვაღწევთ, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჟურნალისტის კითხვას, მზად არის თუ არა პრემიერი, პირადად გააცნოს ობიექტური რეალობა წერილის ავტორებს, გიორგი გახარიამ უპასუხა:

– რა თქმა უნდა.

# ნინო ლომჯარია მატროსოვის ციხეში ოქრუაშვილს, მერაბიშვილსა და ნაკანს შეხვდა

გუშინ, 23 იანვარს, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ე.წ. მატროსოვის ციხეში შევიდა.

ციხიდან გამოსვლისას მან არ თქვა, ვის შეხვდა იქ.

– არ ვთვლი საჭიროდ, რომ ვთქვა, ვინ მოვინახულე, – განაცხადა მან.

ლომჯარიამ გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია გავიდა და მატროსოვთან მას ჟურნალისტები დახვდნენ.

– ფაქტია, რომ ჩემი ვიზიტის შესახებ ინფორმაცია იყო კონფიდენციალური, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია ამ დაწესებულებიდან გავიდა, მე რომ მქონოდა სურვილი საჯაროობის, ამას ვიტყოდი და სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სახალხო დამცველის ვიზიტი კონფიდენციალურად არ ინახება.

რამდენიმე ადამიანს შევხვდი, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იყო ვანო მერაბიშვილი, თუ ბაჩო ახალაია. რომ მქონოდა სურვილი, ვის ვხვდები და რატომ ვხვდები, ამას ვიტყოდი. მე ვწყვეტ, რატომ, როდის და სად მოვიდე; აქ პატიმრების სურვილით მოვედი, კონფიდენციალურია ეს ინფორმაცია, რადგან თავად პატიმრებს სურთ ასე. ჩემზე არ არის დამოკიდებული ეს.

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, იყო სურვილი, რომ მოვსულიყავი და მოვედი. არ ვთვლი საჭიროდ, რომ ვთქვა, ვინ მოვინახულე, – განაცხადა ლომჯარიამ.

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციით, დაწესებულებაში ვიზიტისას ომბუდსმენი შეხვდა ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილს, მსჯავრდებულ ვანო მერაბიშვილს, ასევე 2006 წლის 2 მაისის, ე.წ. კორტეების სპეცოპერაციის საქმეზე მსჯავრდებულ კახაბერ ნაკანს, რომელიც იმ დროისთვის შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის უფროსი იყო.

ამის შესახებ „კვირას“ სპეციალური პენიტენციარული სამსახურიდან აცნობეს.

მისივე ინფორმაციით, ომბუდსმენმა მოითხოვა მსჯავრდებულ გურამ დონაძესთან შეხვედრა, თუმცა მსჯავრდებულმა მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

# მევლუთ ჩავუშოღლუ: „საქართველო ნატოს წევრი უნდა გახდეს“

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საპანელო განხილვაზე ნატო-ს გაფართოებაზე ისაუბრა.

– არ მესმის, რატომ არ მოვიწვიეთ საქართველო და არ გავააქტიურეთ სამოქმედო გეგმა, რომ ის წევრი ქვეყანა გამხდარიყო. ჩვენ გვაკრიტიკებენ, რომ გვაქვს მეზობლობაზე უკეთესი ურთიერთობები რუსეთთან, თუმცა ჩვენი დასავლელი პარტნიორები არ იწვევენ საქართველოს, რომ რუსეთის პროვოცირება არ მოახდინონ.

საქართველოს ჩვენ ვჭირდებით და ჩვენ გვჭირდება ისეთი მოკავშირე, როგორიც საქართველოა. ჩვენ უნდა გავფართოვდეთ და საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა, – განაცხადა ჩავუშოღლუმ.

# ცაგერში მანქანა არხში გადავარდა

გუშინ, 23 იანვარს, ცაგერში, სოფელ ჩხუტელში, ავტომობილი, რომელშიც 3 ახალგაზრდა იმყოფებოდა, ცხენისწყლის არხში გადავარდა.

როგორც თვითმხილველები „რეგიონულ კვირასთან“ ყვებიან, მანქანა დიდი სისწრაფით მოძრაობდა, დამცავ ჯებირებს შეეჯახა და არხში ჩავარდა. ადგილობრივები მათ დახმარებას ეცადნენ, თუმცა წყლის დინებამ ახალგაზრდები ხელოვნურ გვირაბში ჩაითრია.

შემთხვევა საღამოს მოხდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო ბრიგადები.

მომხდარზე საქმე სსსკ-ის 276-ე მუხლით აღიძრა.

# „ასეთი მძაფრი გზავნილები არ მახსოვს“

## მარგველაშვილი საზოგადოებას გაერთიანებისკენ მოუწოდებს

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქვეყანაში არსებულ ვითარებას ძალიან საგანგაშოს უწოდებს.

იგი აცხადებს, რომ პარტნიორების მხრიდან ასეთი იმედგაცრუება საქართველოს მიმართ არ ახსოვს.

მარგველაშვილი ამბობს, რომ პოლიტიკური სპექტრი უნდა გაერთიანდეს, საზოგადოებაც უნდა დადგეს ოპოზიციის გვერდით და ერთიანი ძალებით უნდა იზრუნონ, რათა ქვეყანაში მოხდეს რადიკალური ცვლილებები.

– ძალიან ნათელია ამ გზავნილების სიმძაფრე. ასეთი მძაფრი გზავნილები მე არ მახსოვს, არ მახსოვს მათ შორის იმიტომ, რომ როდესაც მოდიოდა კრიტიკა დასავლეთიდან ნებისმიერი ხელისუფლების დროს, იქ იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ესმოდათ, რა სიმძიმის იყო გზავნილები პარტნიორებისგან.

აუცილებელია კონსოლიდირება ყველა იმ ძალის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს მომავალი არ არის რუსეთში, არ არის ავტორიტარიზმში და არ არის წარსულში დაბრუნებაში, კონსოლიდირება, ძალიან აქტიური მუშაობა და საქართველოს პროდასავლური არჩევანის გადარჩენაა აუცილებელი, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 294-02-55
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძემ რუსთაველის გადაკეტვა ძალიან გაგვიადვილა“

## გიგა მაქარაშვილი: „4 თებერვლიდან ახალ აქციებს დავიწყებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი **გიგა მაქარაშვილი** პასუხობს.

***– გიგა, უკვე აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ოპოზიციონერ ლიდერებსა და სამოქალაქო აქტივისტებს შორის დაძაბულობა და დაპირისპირებაა. თუნდაც ვა შაძე-დიღმელა შვილის მაგალითი რომ ავიღოთ. რა ხდება? იმაზეც საუბრობენ, რომ მავანს აწყობს ეს დაპირისპირება და მიზანმიმართულად აღვივებს პროცესს.***

– გაურკვევლობას ჰქონდა ადგილი.

***– პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ხომ არ სურთ, რომ თავად გადაიბრალონ ის, რაც ახალგაზრდებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა მოიპოვეს?***

– შესაძლებელია, მე ზუსტად არ ვიცი, რას გულისხმობდა ბატონი ვაშაძე თავის განცხადებაში, რომელმაც მთელი ეს დავა გამოიწვია.

***– მან განაცხადა, ჩემი დამსახურებაა, მე მოვითხოვე პროპორციული სისტემაო.***

– მერე გააკეთა განმარტება, წავიკითხე მისი ინტერვიუ, მე საპრეზიდენტო კამპანიის დროს მოვითხოვე და არა იმ მოვლენების დროს, როცა რეალურად მივიღეთ ეს დაპირებაო. მან განმარტება გააკეთა, შესაბამისად, ან უკან დაიხია და ახლა განმარტავს, რომ 20 ივნისის მოვლენები არ უგულისხმია.

***– შესაძლოა, არ ელოდა ახალგაზრდებისგან ასეთ შეტევას.***

– კი, ყველაფერი შესაძლებელია. პროპორციულ არჩევნებს ითხოვს და ამისთვის იბრძვის 30 წელია მთელი ერი, უამრავი თაობა. რეალურად, პირველი რეალური დაპირება ზუსტად იმ სამოქალაქო საზოგადოებამ მიიღო, 20 ივნისის მოვლენების გასაპროტესტებლად რომ შეიკრიბა. შესაბამისად, ის დაპირებაც ჩვენ მივიღეთ და გადაგდებითაც ჩვენ გადაგვაგდო ბიძინა ივანიშვილმა.

ახლა განსაკუთრებული მომენტია, როცა საერთო ლოზუნგზე ვართ შეთანხმებული – ერთად ერთის წინააღმდეგ და ძალიან უადგილოდ მეჩვენება მსგავს არამნიშვნელოვან თემებზე რაღაცა ქიშპობა, მითვისება და რაღაცების დაბრალება ერთმანეთისთვის.

ვფიქრობ, რომ ამ დაპირების მიღება იყო მთელი საზოგადოების გამარჯვება და ამ დაპირების გადაგდება იყო მთელი სამოქალაქო საზოგადოების გადაგდება. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ თუ ბატონი ვაშაძე არ ფიქრობს ასე, ალბათ დაფიქრდებოდა და ალბათ გუნდშიც ექნებოდათ საუბარი ამასთან დაკავშირებით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს თემა ამოწურულია საბოლოოდ.

***– გიგა, ოპოზიციის სხვა ლიდერებისგანაც ვისმენთ განცხადებებს, გირჩის პოზიცია მოვისმინეთ, თაკო ჩარკვიანის, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვეღარ არის ის ერთიანობა, რაც იყო რამდენიმე თვის წინ. ასე არ არის?***

– უამრავი პოლიტიკური ჯგუფია ერთ მაგიდასთან და ძალიან ძნელია, ყველა ერთ აზრზე იყოს, არც არის ეს ნორმალური. პირიქით, სწორი პროცესი მიდის, როდესაც ბევრი სხვადასხვა აზრი არსებობს. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ტრაგიკულია და საგანგაშოა რამე ამაში. იმედი მაქვს, რომ ქართული პროდასავლური ოპოზიციური სპექტრი შეინარჩუნებს ერთიანობას არჩევნებამდე. იმის მიუხედავად, როგორი არჩევნებიც არ უნდა ჩაატაროს ბიძინა ივანიშვილმა, რადგან ამის გარეშე ძალიან გაჭირდება „ქართული ოცნების“ დამარცხება.

***– ანუ გაქვთ მოლოდინი, რომ ერთიანობა იქნება შენარჩუნებული?***

– კი, მოლოდინიც და იმედიც – ძალიან დიდი. სხვანაირად „ქართულ ოცნებას“ ვერ დავამარცხებთ.

***– გიგა, თებერვლის დასაწყისიდან დაანონსებული იყო ახალი საპროტესტო გამოსვლები, თუმცა თბილისის მერიამ შემოღობა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია და იქ სამუშაოები დაიწყო. ეს მიზანმიმართული პროცესია?***

– რასაკვირველია, მიზანმიმართული პროცესია. სულ 25 პროექტი ჰქონდა მერიას დამტკიცებული 2020 წლის ფარგლებში და ამ 25 პროექტში არ არის რუსთაველის გამზირი.

***– ანუ უეცრად მიღებული გადაწყვეტილებაა?***

– რა თქმა უნდა. 3 დღეში გამოცხადებული ტენდერია, 6 დღეში დასრულებული და გუშინწინ მისცეს ბრძანება მათივე კომპანიას, რომ დაეწყო სამუშაოები. ეს კინო ნანახი გვაქვს ჩვენ და ვიცით, როგორც მთავრდება, მთავრდება ხელისუფლების დასრულებით.

***– რას აპირებთ, როდესაც რუსთაველის გამზირზე ეს სიტუაციაა?***

– დაახლოებით 5 ათას კაციანი ეკონომია მოგვცა კალაძემ. თუ 5 ათასი კაცი გვჭირდებოდა ხოლმე გზის გადასაკეტად, 200 კაციც რომ მოვიდეს, უკვე გზის გადაკეტვა შეგვიძლია. შესაბამისად, ძალიან გაგვიადვილა კახი კალაძემ რუსთაველის გადაკეტვა და ამისთვის ბიძინა ივანიშვილი მას სამაგალითოდ დასჯის!

***– ანუ მაინც შეიკრიბებით რუსთაველზე?***

– რა თქმა უნდა! პროტესტი გაგრძელდება აუცილებლად. რაღაც ბარიკადის აღმართვის გამო რომ პროტესტი გავაჩეროთ, ეს წარმოგიდგენიათ?! ამბიცია გვაქვს, რომ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და გვინდა, რომ დავეხმაროთ და ერთი ბარიკადის გამო თუ პროტესტი გავანელეთ, არ ვყოფილვართ მაშინ არაფერი.

აუცილებლად გავაგრძელებთ, 4 თებერვლიდან იწყება საპარლამენტო სესიები, აუცილებლად იქნება პიკეტირება პარლამენტის და შემდეგ უკვე ნელ-ნელა, ამინდებიც რომ ხელს შეგვიწყობს, მასირებულად დავიწყებთ სხვადასხვა ლოკაციაზე ფართომასშტაბიან აქციებს.

***– რამე კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე ჩამოყალიბდით ოპოზიციასთან?***

– ჯერ არა. ყოველდღიურ რეჟიმში ვფიქრობთ ამაზე. გვაქვს ამაზე კონსულტაციები და 4 თებერვლამდე გვექნება პასუხი. 4 თებერვალი იქნება პირველი დღე, როცა ისევ ხმამაღლა დავაფიქსირებთ ჩვენს პროტესტს.

***– ხელისუფლებაც აქტიურად ემზადება, იქნება საკადრო ცვლილებები. კვლავ შეეცდებიან ხელისუფლებაში დარჩენას. შეძლებენ პოზიციების გამყარებას?***

– ეს ხელისუფლება უკვე დასრულებულია. როგორც არ უნდა გადაანაწილონ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ერთი და იგივე ნაგავია და ისინი სადაც არ უნდა გადაიყვანო, ნაგვებად დარჩებიან.

***– სერიოზული ზეწოლაა დასავლეთიდან, თუმცა ამაზეც არაადეკვატური რეაქცია აქვთ „ოცნების“ ლიდერებს, ეს 4 სენატორის პირადი მოსაზრებებიაო.***

– არ ვიცი, რა ჰგონიათ, ეტყობა, ფიქრობენ, რომ ჩვენს ხალხს არ ესმის, რაც ხდება, ცდილობენ მოატყუონ საზოგადოება და ის მინიმალური მხარდამჭერი მაინც შეინარჩუნონ არჩევნებამდე, ვინც შემორჩათ, თუმცა ესეც გამორიცხულია.

ჩვენს საზოგადოებას აქვს ძალიან სწორი ხედვა და აზროვნება და ძალიან მარტივად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვის არ უნდა მისცენ ხმა 2020-ის არჩევნებზე. ეს არის „ოცნება“!

***– და ვის უნდა მისცენ?***

– აი, ვის უნდა მისცენ ხმა, ეგ კიდევ უფრო რთულია, იმიტომ, რომ პოლიტიკური ველი ჭრელია. რომ გითხრათ, ძალიან კარგი არჩევანი გვაქვს ამომრჩევლებს, არ გვაქვს კარგი არჩევანი. პირადად მე ჯერ კიდევ არ ვიცი, ვის ვაძლევ ხმას.

***– სწორედ ამაზეა, გიგა, საუბარი, რომ ოპოზიცია ვერ ქმნის კონკურენტუნარიან გარემოს. კი, საზოგადოებას ეს ხელისუფლება აღარ უნდა, მაგრამ არც ოპოზიცია მოსწონს. გამოიკვეთებიან ახალი ლიდერები?***

– აუცილებლად გამოიკვეთებიან, შეიძლება, ბევრი არ გამოიკვეთოს, მაგრამ რამდენიმე მაინც აუცილებლად გამოიკვეთება, ვისაც, ძალიან დიდი იმედი მაქვს, ხალხი გაჰყვება! თუმცა მე მაინც არ მგონია, რომ ერთ ლიდერზე ჩამოკიდებულ ქვეყნად უნდა დავრჩეთ. უნდა ვისწავლოთ ის, რომ ერთ კაცზე ჩამოკიდებამ არაფერი კარგი არ მოგვიტანა არასდროს და არც ამის შემდეგ მოგვიტანს. დროა, ვისწავლოთ გუნდურად მუშაობა.

***– ანუ კოალიციურ ხელისუფლებას პროგნოზირებთ?***

– კი, უდავოდ კოალიციური მთავრობა იქნება. ამის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

# ნიკა ჩიტაძე: „დასავლეთისგან კითხვები ღიად ისმება — ხომ არ ათეთრებს ივანიშვილი ფულს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***ჟურნალ „ეკონომისტის“ მიერ, სადაც საქართველო ჰიბრიდული ქვეყნების ნუსხაშია, 89-ე ადგილს იკავებს და უკვე სომხეთიც გვისწრებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს, როცა ვამაყობდით, რომ დემოკრატიით რეგიონში ლიდერი ვიყავით. ეს ფუნქცია აღარ გვაქვს?***

– შარშან ამ მონაცემებით საქართველო 79-ე ადგილიდან 89-ე ადგილზე გადავიდა. ასევე „ფრიდომ ჰაუსის“ მონაცემებში საქართველო შვიდბალიან სისტემაში შეადგენდა 4.68-ს. 2019-ში ეს მაჩვენებელი ალბათ კიდევ უფრო უკან დაიწევს. საქართველო ნაწილობრივი თავისუფალი ქვეყნის სტატუსს შეინარჩუნებს, მაგრამ ფაქტია, რომ უკანსვლაა. იმავე „ჰუმან რაით ვოჩის“, გაეროსა თუ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში შესულია ყველა შენიშვნა და ხაზი ექნება გასმული დემოკრატიის თვალსაზრისით უკუსვლას.

***– სადამდე შეიძლება მივიდეს პროცესი ამ კრიტიკის თვალსაზრისით და რაში მდგომარეობს გამოსავალი იმ პირობებში, როდესაც მმართველი პარტია არ ითვალისწინებს დასავლეთის შენიშვნებს და კონტროლირებადი მედიის ჰედლაინები ასეთია, რომ მხოლოდ 4 აკრიტიკებს „ოცნებას“?***

– არა, ასე არ არის. 4 რომ აკრიტიკებს ღიად, ეს არ ნიშნავს, რომ სხვებს მოსწონთ ის, რაც საქართველოში ხდება. ვინმემ თქვა, რომ მისაღებია, რაც საქართველოში ხდება?! მეორე, არსებობს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები, რომლებიც ასახავს დამოკიდებულებას. სხვათა შორის, ეს მხოლოდ საქართველოს არ ეხება. ამ ანგარიშებში ხვდება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული დემოკრატიული და ადამიანის უფლებების შესახებ არსებული მდგომარეობა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს და ევროპარლამენტიდანაც ბევრმა გააკრიტიკა „ქართული ოცნება“, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს ხელისუფლება, ამიტომაც ეს ყველაფერი აისახება შესაბამის ანგარიშებში. 4 კონგრესმენის გარდა, არსებობს სხვა პირებშიც ნეგატიური დამოკიდებულება იმაზე, რაც საქართველოში ხორციელდება.

***– ანუ თქვენ გამოსავალს ვერ ხედავთ?***

– გამოსავალი ის არის, რომ ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, ხოლო ოპოზიციამ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ გამარჯვების შემთხვევაში შურისძიება არ იქნება და საქართველოში განმტკიცდება ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარების პროცესი. არჩევნების დემოკრატიული გზით ჩატარება უნდა იყოს, წესით, გამოსავალი. ამისთვის საჭიროა, მოსახლეობაც მზად იყოს დემოკრატიული პროცესებისთვის. მოსახლეობას, რომელიც საკუთარ ხმას 5 კილო კარტოფილზე ყიდის, ალბათ ვერ დაუწყებ საუბარს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. რაც უფრო ნაკლებია ასეთი ადამიანი და რაც მეტი – ისეთი, ვინც იცავს საკუთარ უფლებებსაც და პატივს სცემს სხვის უფლებებსაც, უკეთესია და ამ შემთხვევაში გამოსავალს ვიპოვით.

***– ეს არის თქვენი ოპტიმისტური მოლოდინი თუ რეალურად გგონიათ, რომ ეს შეძლებადია?***

– არა, ეს შესაძლებელია, ერთ-ერთი ვერსიაა. კი ბატონო, ოპტიმისტური სცენარით ვითარების წარმართვის ეს შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ არსებობს პესიმისტურიც. ეს მოხდება მაშინ, თუ „ოცნება“ უგულებელყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მოსაზრებებს, მაშინ ორიენტირად აიღებს რუსეთს. პირდაპირ ამის შესახებ არ განაცხადებს, მაგრამ ორიენტირებული იქნება რუსეთზე. იქიდან გამომდინარე, რომ ნელ-ნელა იზრდება ვაჭრობა საქართველოსა და რუსეთს შორის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლებელია, ეს სცენარიც განვითარდეს.

# „ივანიშვილს გადასარჩენად შოთაძისა და თადუმაძისნაირი გასვრილი კადრები სჭირდება“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „წულუკიანი ციხეში ქურდების მმართველობაზე დუმს, მაგრამ ნერვები ეშლება დახეულ ჯინსებზე“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.

***– უკვე ცნობილია, რომ ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურორი გახდება, მიუხედავად იმისა, რომ ის სარალიძის საქმესთან დაკავშირებით გამოკვეთილი გადაცდომის გამო გადადგა. ასევე ცნობილია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შალვა თადუმაძე იქნება. როგორ ფიქრობთ, რატომ იგივე ხალხი?***

– ივანიშვილის მეორედმოსვლების სერია მხოლოდ ერთადერთ რამეზე – მის პარანოიაზე მიანიშნებს. მას ეშინია არჩევნების წაგების და, რაც მთავარია, ეშინია არჩევნების წაგების შემდეგ დაჭერის. ამიტომ პროკურატურაშიც და უზენაეს სასამართლოშიც საქმეებს ასე, წინასწარ იგვარებს, მისი ნდობით აღჭურვილი ხალხით. ეს არის ბოლო ჟამის პარანოია. ასეთი შიშები, როგორც წესი, აქვთ ავტორიტარ რეჟიმებს, მათ ლიდერებს. თუმცა ასეთი კომბინაციები უშედეგოა, ვერ მუშაობს. როგორც ჩანს, ივანიშვილს იმედი აქვს, რომ შოთაძე 6 წელი იქნება ამ ქვეყნის ხელშეუვალი გენერალური პროკურორი, მაგრამ იმედები უნდა გავუცრუო.

***– რატომ, ვერ იქნება?***

– როგორ იქნება, როდესაც ივანიშვილი არჩევნებს წააგებს, საკონსტიტუციო ცვლილებები მოხდება და ეს გენერალური პროკურორები, ეს დანაშაულებრივი გზით უვადოდ გამწესებული მოსამართლეები, როგორ უნდა დავტოვოთ?! ეს არ იქნება დემოკრატიის ნიშანი. ეს იქნება ქვეყნის საბოლოოდ დაღუპვა. რა თქმა უნდა, უკანონო დევნაზე არავინ საუბრობს, საუბარია დანაშაულებრივ წარსულზე, რომელზეც თვალს არავინ დახუჭავს.

***– არჩევნების წაგების შემთხვევაში ივანიშვილი მთლად მშვიდად არ უნდა იყოს?***

– რა თქმა უნდა, მას ამიტომ ეშინია არჩევნების წაგების, მას ეშინია დაჭერის. ეს აბსოლუტურად რეალური შიშია. ამ ნაბიჯებით ის ამბობს, თუ ძალაუფლებას დავკარგავ, თავისუფლება მაინც არ დავკარგოო.

ერთი მხრივ, ის არავის ენდობა და, მეორე მხრივ, მას სჭირდება უკვე გასვრილი კადრები. სუფთა ხალხი მას არაფერში სჭირდება. დამნაშავე ყურმოჭრილი მონების ჯგუფის სჭირდება პირად სამსახურში და სწორედ ამის მოწმენი ვართ. მე ნამდვილად მჯერა, რომ ერთიც გახდება გენერალური პროკურორი და მეორეც – უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. ამას აკეთებს იმისთვის, რომ მშვიდად იყოს, მაგრამ, ვარწმუნებ, ეს დროებითია.

მეორე მხრივ, ამ ყველაფერს დადებითი მხარეც აქვს. ხალხი ხედავს, რომ ივანიშვილი არავის ენდობა და უკვე გამოცდილი ხალხი ჰყავს არა ქვეყნის, არამედ პირად სამსახურში.

ივანიშვილი ახლა ვერც საკუთარ ხალხს მოატყუებს და ვერც საერთაშორისო საზოგადოებას. ჩვენ ვხედავთ, კონგრესმენები, ევროპარლამენტარები როგორ ღიად ეუბნებიან, რომ ამ ქვეყანაზე არ არის.

***– რამდენად რეალური შეიძლება იყოს თეა წულუკიანის წასვლა და კახი კახიშვილის დაბრუნება? წულუკიანმა თქვა, რომ 8 წელი უკვე საკმარისია. სწორედ ამდენი ხანი იყო ის მინისტრი.***

– არ გამოვრიცხავ, სწორედ ამგვარი ხრიკი გამოიყენოს ივანიშვილმა. ეს ჩვეულებრივი პიარსვლაა. წულუკიანის უარყოფითი რეიტინგი ყველასათვის ცნობილია. წულუკიანისგან ნეგატივი გადმოდის. მას აღელვებს სახალხო დამცველის წარმომადგენლის დახეული ჯინსები, მაგრამ საერთოდ არ აწუხებს ქურდული სამყაროს გაძლიერება. წულუკიანი ციხეში ქურდების მმართველობაზე დუმს, მაგრამ ნერვები ეშლება და პარლამენტის ტრიბუნიდან ხმამაღლა საუბრობს დახეულ ჯინსებზე.

რაც შეეხება კახიშვილს, ის ნამდვილად არის დადებითი იმიჯის მქონე. ეს იმიჯი მას აქვს შენარჩუნებული, დანაშაულებთან ის არ არის დაკავშირებული, მაგრამ ადამიანი როდესაც წლების განმავლობაში დაკავშირებულია ამ სისტემასთან, სისტემის ნაწილი ხდება. ის თავად არ ჩადის დანაშაულს, მაგრამ სხვის დანაშაულზე დუმს. მიუხედავად ამისა, ივანიშვილი ფიქრობს, რომ ეს სვლა გაამართლებს და ამიტომ დგამს ამ ნაბიჯს.

***– ივანიშვილიც შეიძლება, პრემიერად მობრუნდეს?***

– თუ თვითგადარჩენის ინსტინქტი შერჩენია, არ უნდა დაბრუნდეს. ახლა მისი დაბრუნება კიდევ უფრო მეტ აგრესიას გამოიწვევს საზოგადოებაში, რადგან ეს იქნება პირდაპირი გზავნილი, რატომაც დაბრუნდა.

***– არჩევნების მოსაგებად?***

– რა თქმა უნდა. ერთადერთი მიზანი არჩევნების მოგება და ძალაუფლების შენარჩუნებაა, მაგრამ, რა ხრიკსაც არ უნდა მიმართოს, ეს უკვე შეუძლებელია.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# „ბოკერიას პარტია საქართველოში სომხური ლობის დასაყრდენია“

## ლევან ჩაჩუა: „წულუკიანმა რაც დათესა, ის მოიმკო“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას**.

***– 4 თებერვლიდან ოპოზიციური ერთობა პარლამენტთან აქციების განახლებას გეგმავს. იმავდროულად, იქ თბილისის მერიამ სარეაბილიტაციო სამუშაოები წამოიწყო და ამ ტერიტორიაზე ღობე აღმართა. პროტესტანტებს სხვაგან გადასვლა არ უნდათ. რას უნდა ველოდოთ?***

– ეს იქნება მორიგი უგვანი მოქმედებები ხელისუფლებისა და ოპოზიციის მონაწილეობით. როგორც ჩანს, ორივე მხარეს აწყობს მუდმივი პოლიტიკური დუღილი ქვეყანაში. აქციების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ამ ოპოზიციური ერთობის უაზრო პერფორმანსები ზღვარს გადავიდა. ამ ხალხმა თვითონაც იცის, რომ საზოგადოება მხარს არ უჭერს.

***– საქართველოს ხელისუფლებას საგარეო პარტნიორები სხვადასხვა მხრიდან მძაფრად აკრიტიკებენ. რა გამოხმაურება ექნებათ ამ მოწოდებებზე?***

– ეს კრიტიკა ემთხვევა ტექტონიკურ ძვრებს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში. ჩვენი პოლიტელიტა დამოუკიდებელი არ არის. ის ლიბერალური ინტერნაციონალის შემადგენელი ნაწილია. ეს პოლიტიკოსები, ქოცებიც და ოპოზიციის უმრავლესობაც, მარიონეტები არიან.

***– კრიტიკას რატომ იმსახურებენ?***

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ შიგნითაც განსხვავებული ჯგუფებია, გადაჯგუფებები მიდის. კონსერვატიულად განწყობილმა ბევრმა ადამიანმა „ოცნების“ უმრავლესობა დატოვა.

***– უმრავლესობიდან ლიბერალურად განწყობილებიც გამოვიდნენ.***

– უმეტესობას ვგულისხმობ. დავით ჭიჭინაძე კონსერვატორია. ის კარგა ხანია, გაემიჯნა პარტიას. ბოლო დროს უმრავლესობა დატოვეს კონსერვატიული პარტიის დეპუტატებმაც. „ოცნებაში“ ბირთვის სახით დარჩა ლიბერტარიანულ-კომკავშირული აქტივი კობახიძეებისა და თალაკვაძეების შემადგენლობით. მიმდინარე მოვლენები დაკავშირებულია გადათამაშებებთან საქართველოს პოლიტელიტაში. უდიდესი ძვრები მიდის რუსეთში.

***– იქ ძალაუფლების გადანაწილება და მმართველობითი სისტემის შეცვლა მიმდინარეობს.***

– რუსეთს ორი საკვანძო ამოცანა უდგას – საკუთარი ეროვნული ბანკისა და საკანონმდებლო ბაზის გათავისუფლება სხვების გავლენისგან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციაც დაექვემდებარა გარეშე გავლენას და თავისი ფინანსური ინსტიტუტები, ასევე კანონმდებლობა მოარგო ევროპულს. ეს იცვლება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დიდი გარდატეხა ხდება. ყველა გააქტიურდა.

***– „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ევროპარლამენტიდან წამოსული კრიტიკა ნაცმოძრაობის დამსახურებაა.***

– „ოცნება“ მშვენივრად თანამშრომლობს ნაცმოძრაობასთან და „ევროპულ საქართველოსთან“. ბოკერიას პარტია არის სომხური ლობის დასაყრდენი საქართველოში. სააკაშვილს ჰყავდა ლობისტები საზღვარგარეთ. მისი დაფინანსებით იბეჭდებოდა მაქებარი სტატიები სააკაშვილსა და მის ხელისუფლებაზე. ამერიკელი მეთიუ ბრაიზა, რომელიც თანამდებობაზე აღარ არის, ასევე ევროპის სახალხო პარტია და სხვები ახლაც მხარში უდგებიან გაყოფილ ნაციონალებს, როცა სჭირდებათ.

***– „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე არ გამორიცხავს, რომ თუ „ოცნებამ“ პოლიტიკა არ შეცვალა და გამოთქმული შენიშვნები არ გაითვალისწინა, საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდება.***

– საქართველო არანაირ იზოლაციაში არ აღმოჩნდება. ხაზარაძემ, ჯობს, საკუთარი საქმეები გაიხსენოს, რისთვისაც მას ერთმა მისი ბანკისგან ბინაწართმეულმა მოქალაქემ ოპოზიციური ერთობის მიტინგზე სილა გააწნა. ამ ბანკების გამო ქვეყანაში უამრავი უსახლკარო ოჯახი გაჩნდა.

***– ოპოზიციურ ერთობაში დიდი აყალმაყალია ნაცმოძრაობის თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძის განცხადების გამო. მან თქვა, რომ პროპორციული არჩევნები მისი პარტიის მოთხოვნა იყო. ამაზე სამოქალაქო აქტივისტმა შოთა დიღმელაშვილმა აღნიშნა, რომ ვაშაძეს წინა თვეებში მიტინგებზე სცენაზე კი არა, სცენის უკანაც არ უშვებდნენ. პროპორციული არჩევნების დაპირება ახალგაზრდობის პროტესტის შედეგი იყო.***

– დიახ. სამწუხაროდ, მოგვიანებით აქციების სადავეები ოდიოზურმა პოლიტიკოსებმა ჩაიგდეს ხელში. რის დამტკიცება უნდა გრიგოლ ვაშაძეს, გაუგებარია. 30-ზე მეტი პარტიის ბოლოდროინდელმა აქციებმა ხალხში ზიზღი გაზარდა. დაჭაობებულ ოპოზიციას ისედაც არ ჰქონდა ხალხის სიმპათია, ამ ქმედებებმა კი ეს პოლიტიკოსები მონსტრებად აქცია.

**„შვილმოკლულ მამებს ვურჩიე, დისკრედიტებული პოლიტიკოსები გვერდით არ დაეყენებინათ“**

***– მონსტრები რატომ არიან?***

– მოუსმინეთ, რას ამბობს ხალხი და მიხვდებით. ადამიანები მეუბნებიან, მაგათი სახეების გამო ტელევიზორებს აღარ ვრთავთო. ეს ხალხი ინფორმაციასა და ანალიზს სოციალური ქსელებისა და ბეჭდური გაზეთებიდან იღებს. მინდა ვისარგებლო მომენტით და თქვენი გაზეთის ტირაჟის გაზრდა ვითხოვო. ხანდახან დილის 11 საათზე „ახალი თაობა“ უკვე გათავებულია. ადამიანები ტელევიზორზე უარს ამბობენ და გაზეთებს ანიჭებენ უპირატესობას.

აჯობებდა, შვილმოკლულ მამებსაც განცალკევებით გაემართათ აქციები. მათ ადრე ვურჩიე, დისკრედიტებული პოლიტიკოსები გვერდით არ დაეყენებინათ. ვგულისხმობ ქოცებსაც და ნაცებსაც.

***– შესაძლებელია, ამ ოპოზიციამ ერთად მიიღოს მონაწილეობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.***

– ამ ყავლგასულ ოპოზიციას ვერანაირი წინასაარჩევნო გაერთიანება ვერ უშველის. ამ პოლიტიკოსებმა ხალხს უფრო შეაჯავრეს თავი. ვადაგასული ნაწარმი უნდა გადაიყაროს.

***– „ქართულ ოცნებასაც“ არ უფენს ხალხი ია-ვარდს.***

– 2012 წელთან შედარებით პირადად ბიძინა ივანიშვილის რეიტინგიც გაცამტვერდა, მაგრამ ამ ეტაპზე მისი საპირწონე არ ჩანს. თუ ეროვნულად და კონსერვატიულად განწყობილი პიროვნებები (არა მხოლოდ პოლიტიკოსები) და ძალები მოვახერხებთ გაერთიანებას, მაშინ სხვა ვითარება იქნება და ჩამოუყალიბებელი 60% ახალ გაუსვრელ ძალას მიეცხრობა.

***– ბევრს საუბრობენ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის წასვლაზე. დაახლოებით 7 წლის წინ თქვენ, სააკაშვილის ყოფილი პოლიტპატიმრები, წულუკიანს აკრიტიკებდით იმის გამო, რომ მან შეუძლებლად მიიჩნია სამართლიანობის აღდგენა. რა მოხდა მას შემდეგ?***

– წულუკიანმა რაც დათესა, ის მოიმკო. ის იყო კოაბიტაციის ერთ-ერთი შემოქმედი. ნაცებზე რომ გესლიანად რამეს ამბობს, ჯერ ეგ გაიხსენოს. თეა წულუკიანს პრობლემები შეექმნა არა მარტო სხვებთან, არამედ, თავის ყოფილ დაქალებთან, მაგალითად, ჩერგოლეიშვილთან. ლომჯარია სახალხო დამცველად „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ დაამტკიცა. წულუკიანი, ჩუგოშვილთან ერთად, ლომჯარიას ლობირებდა, თან, ვის საპირწონედ აირჩიეს!

***– დიმიტრი ლორთქიფანიძეს გულისხმობთ?***

– რასაკვირველია. დიმიტრი ლორთქიფანიძე სახალხო დამცველად უნდოდა საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს. რაც მთავარია, უნდოდათ პატიმრებს. დიმიტრი ლორთქიფანიძეს, როგორც უფლებადამცველს, საქართველოს ყველა საპატიმრო ჰქონდა შემოვლილი. მას პატიმრები კარგად იცნობდნენ. მოგროვდა 200.000 ხელმოწერა მისი კანდიდატურის მხარდასაჭერად.

პარლამენტმა ამას ყურადღება არ მიაქცია და აირჩია ლომჯარია, რომელიც, როგორც გაირკვა, ციხეებში არ დადის და უმთავრესად ლგბტ-პირებზე ზრუნავს.

# „2020 წლის არჩევნებისთვის კონსტიტუციაში ცვლილება ვერ შევა“

## მამუკა ტუსკაძე: „პარლამენტის თავმჯდომარის წინადადება შეუსრულებადია“

გულიკო ბალაძე

რა სისტემით ჩატარდება 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები? ესწრება თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება? – „ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი და უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ ოპოზიცია არ დასთანხმდება მათ შეთავაზებას, რომელიც ითვალისწინებს 100/50-ზე თანაფარდობით დეპუტატების არჩევას, მაშინ არჩევნები ძველი წესით ჩატარდება. ოპოზიცია არც აპირებს ამ შეთავაზებაზე დათანხმებას. რას უნდა ველოდოთ?***

– ოპოზიციაზე აღარც არის დამოკიდებული. პარლამენტის თავმჯდომარის ეს ინიციატივა კარგია, მაგრამ შეუსრულებელია.

***– რატომ არის შეუსრულებელი?***

– აუცილებელია ცვლილების შეტანა კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში, სადაც პირდაპირ ჩაწერილია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდება შერეული სისტემით, უნდა იქნეს არჩეული 150 დეპუტატი, აქედან 77 – პროპორციული, ხოლო 73 – მაჟორიტარული წესით. ოპოზიციის დათანხმება და არდათანხმებაც აზრს კარგავს.

***– რატომ კარგავს აზრს?***

– კონსტიტუციითა და ორგანული კანონით არჩევნები დანიშნულია 31 ოქტომბერს. ამას სჭირდება პრეზიდენტისა და პრემიერის კონტრასიგნაცია და არჩევნები ჩატარდება 31 ოქტომბერს. ამას გვეუბნება მოქმედი კანონმდებლობა და კონსტიტუცია. დანარჩენი ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას შორის პოლიტიკური თამაშებია.

***– კონსტიტუცია რომ შეცვალონ?***

– კონსტიტუციის შეცვლას სჭირდება საყოველთაოსახალხო განხილვა. ამისთვის მთელი პროცედურებია. მინიმუმ სამთვიანი განხილვა და შემდეგ სამი სასესიო პერიოდი სჭირდება. პარლამენტის საგაზაფხულო სესიის შემდეგ საშემოდგომო სესიამ უნდა დაამოწმოს.

ნებისმიერ კონსტიტუციონალისტს ჰკითხეთ და გეტყვით, რომ შეუძლებელია, კონსტიტუციური ცვლილება 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებს შეეხოს. ამიტომ ეს ყველაფერი ბლეფია.

***– ანუ ყველა შემთხვევაში კონსტიტუციური ცვლილებებია საჭირო?***

– ნამდვილად. კონსტიტუციის ძირითად პუნქტში, სადაც 2024 წელს შედის ძალაში, პირდაპირ წერია, რომ 150 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი უნდა იყოს. სინამდვილეში კონსტიტუციის დანართში პირდაპირ წერია, როგორ უნდა ჩატარდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

***– მაშინ რას ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის შეთავაზება და განცხადება, რომ ჯობს, ოპოზიცია ამ შეთავაზებას დათანხმდეს?***

– არ ვიცი, რას ნიშნავს.

***– ასეთი ცვლილება ორგანულ კანონში ცვლილებებითაც ვერ განხორციელდება.***

– დიახ, კონსტიტუციაში უკვე წერია, რომ 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით უნდა იქნეს არჩეული. როგორ უნდა მოახდინონ ცვლილება კონსტიტუციაში, როცა არ ესწრება. მაშინ კონსტიტუცია უნდა დაარღვიონ. კონსტიტუციის დარღვევა კი არ შეიძლება, მამამისის დაწერილი კი არ არის.

ამიტომ, მიუხედავად საინტერესო წინადადებისა, ეს შეთავაზება შეუსრულებელია.

***– თვითონ ამ წინადადების შემთავაზებელთა მხრიდანაც შეუსრულებელია?***

– დიახ, ვერ შეასრულებენ. მეტიც, განხილვები ახლა რომ დაიწყონ კონსტიტუციის შესაცვლელად, თუნდაც 150-ვე პროპორციული წესით არჩევისთვის, ვერ მოესწრება. როგორ ხდება კანონის მიღება? კანონი საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებს ცნობს.

საგაზაფხულო სესიაზე უნდა განიხილონ და მეორე-მესამე მოსმენით ხმა უნდა მიეცეს. ამას წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოებრივი განხილვა. შემდეგ მესამე მოსმენა უნდა ჩატარდეს საშემოდგომო სესიაზე.

თუ შემოდგომაზე დაიწყებდნენ ამ ცვლილების განხილვას, მაშინ საგაზაფხულო სესია ივლისამდე გრძელდება და მოასწრებდნენ, მაგრამ ახლა ინიცირების შემთხვევაში ივლისამდე ჩვენ მივიღებთ ორი მოსმენით, სექტემბერში კი – მესამე მოსმენით, ამიტომ თეორიულადაც შეუძლებელია, ეს ყველაფერი 31 ოქტომბრისთვის მოესწროს, თან ეს კანონები ერთმანეთს ფარავს. არ ვიცი, როგორ უნდა გააკეთონ.

***– ოპოზიცია მაინც არ თანხმდება შეთავაზებას. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ქალბატონმა განაცხადა, რომ ჯობს, ის პროექტი დააბრუნონ, რომელიც 2020 წლისთვის სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებდა.***

– ახლა სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის პროექტიც რომ დაუბრუნონ, მაინც ვეღარ მოესწრება.

***– პროპორციული საარჩევნო სისტემის პროექტის განხილვა ხომ იყო?***

– განხილვა იყო, დაბრუნებაც შესაძლებელია, მაგრამ ვერ გაკეთდება, იმიტომ, რომ მასაც იგივე ცვლილება სჭირდება კონსტიტუციაში, რაც 100/50-ზე სისტემას. დღეს პარლამენტის არჩევის წესთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ცვლილება იწვევს კონსტიტუციის ცვლილებას, კონსტიტუციის ცვლილება კი დღეს შეუძლებელია.

***– ოპოზიცია დასთანხმდება არჩევნების ძველი სისტემით ჩატარებას?***

– სხვა გზა არ აქვს, უნდა დასთანხმდეს.

# პაატა იმნაძე: „ვინც იყო უხანში და აქვს გრიპის ნიშნები, მიმართოს ექიმს!“

## „საქართველოში კორონავირუსთან დაკავშირებით შეშფოთების საფუძველს ვერ ვხედავ“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს **პაატა იმნაძე** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, ახალი ვირუსი ვრცელდება ჩინეთიდან და ის კორონავირუსის სახელით არის ცნობილი. საკმაოდ აღელვებულია ჩვენი საზოგადოება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია რეკომენდაციებს გასცემს. რა ინფორმაციას მიაწვდით ჩვენს საზოგადოებას?***

– ჯერჯერობით არავითარ შეზღუდვებზე ლაპარაკი არ არის ჩინეთთან არც მოგზაურობაზე, არც ვაჭრობაზე, ერთადერთი თვითონ ჩინეთის ხელისუფლება იღებს კარანტინის ძალიან სწრაფ და ეფექტურ ზომებს. პრაქტიკულად იმ დიდი ქალაქიდან, უხანიდან შეწყდა სხვა ქვეყნებში და ასევე ჩინეთის სხვა ქალაქებში მოქალაქეების გამგზავრება. ასევე ჩინეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ქალაქიდან არ მოხდეს ინფექციის გავრცელება სხვა ქალაქებში. დღეს რაც არის აღწერილი შემთხვევები, როგორც ჩინეთის სხვა ქალაქებში, ასევე რამდენიმე ქვეყანაში, სადაც პირდაპირი რეისები იყო უხანიდან, ყველა შემთხვევა უშუალოდ დაკავშირებულია სწორედ ამ ქალაქთან და იქ დაინფიცირებასთან.

***– ჯერ არ იციან ექიმებმა, ამ ვირუსს როგორ უმკურნალონ. ამის შესახებ რას იტყვით?***

– უმრავლესობა ვირუსებისა მსგავსი სიმპტომებით ვითარდება, არის მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი ა ტიპის ვირუსებისა და არსებობს ანტივირუსული საშუალება, არის კიდევ 2-3 ვირუსი გამონაკლისი, დანარჩენი ყველა ვირუსი ერთნაირად იკურნება და არაფერი უკურნებელი ამ ვირუსს არ სჭირს. ჯერჯერობით რაც არის მონაცემები, მაღალი ლეტალობით, საბედნიეროდ, არ ხასიათდება ეს დაავადება.

***– 20 ერთეულით გაიზარდა ამ ვირუსით გარდაცვლილთა რიცხვი, ბატონო პაატა.***

– გაიზარდა, მაგრამ რამდენიდან?! დანარჩენი ხომ გამოჯანმრთელდა?!

***– ანუ არ გვაქვს შეშფოთების საფუძველი?***

– ამ ეტაპზე მე შეშფოთების საფუძველს ვერ ვხედავ. ისე კი, რა თქმა უნდა, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

***– რა რეკომენდაციებს გასცემდით საზოგადოებისთვის?***

– თუ ვინმე იყო ბოლო ორი კვირის განმავლობაში უხანში და აქვს გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომები, უნდა მიმართოს ექიმს და უნდა უთხრას, რომ იყო უხანში.

***– ჩინეთის სხვა ქალაქებზე შეზღუდვა არ არის?***

– ჩინეთის სხვა ქალაქებზე არანაირი შეზღუდვა არ არის.

***– ჩვენთან გავრცელებულ ვირუსებზე რას იტყვით? დეკემბერში სერიოზული მატება იყო. წავიდა კლებისკენ?***

– მოდით, ასე ვთქვათ, ჯერჯერობით სტაბილურია, კლებას ვერ დავარქმევთ. ოდნავ მოიკლო, მაგრამ ეს არ ითვლება მნიშვნელოვან კლებად. ჯერჯერობით სტაბილურია მაჩვენებლები. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით დაბალია, ვიდრე დეკემბრის ბოლო კვირაში იყო. დაველოდოთ სიტუაციის განვითარებას. უკვე ნელ-ნელა უნდა წავიდეს კლებისკენ.

***– ახლა ყველაზე მეტად რა ვირუსი დომინირებს?***

– ისევ ბ ტიპის ვირუსი დომინირებს ქვეყანაში. იშვიათად ძალიან, მაგრამ გვხვდება ა ტიპის ვირუსებიც და სხვა სახის გაციების ვირუსები, თუმცა ეს საკმაოდ ცოტაა.

# მირზა სუბელიანის შვილი: „მიხეილ კალანდია მკვლელი არ არის“

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესზე მირზა სუბელიანის შვილმა ალექსანდრე სუბელიანმა ჩვენება მისცა.

გუშინ, 23 იანვარს, მან განაცხადა, რომ მიხეილ კალანდიას დავით სარალიძე არ მოუკლავს. როგორც სუბელიანმა განმარტა, ის დავით სარალიძის დაჭრას არ შესწრებია, თუმცა აცხადებს, რომ კალანდია მკვლელი არაა.

მისივე განცხადებით, მას კალანდია ფარდულთან შემხვლობაში არ დაუნახავს, მაგრამ დაინახა, რომ დავით სარალიძე კოჭლობდა და ფეხი სისხლიანი ჰქონდა.

– ჩემი მყარი პოზიცია მაქვს და ამის თქმის არ მომერიდება, კიდევ ერთხელ ვამბობ, მიხეილი მკვლელი არ არის, არა იმიტომ, რომ ჩემი დეიდაშვილია. ამის თქმა რომ მინდოდა, იმიტომ მინდოდა, სხდომა ღია ყოფილიყო. გიორგისა და სარალიძეს შორის იყო უშუალო ჩხუბი, მიბჯენილი ჰყავდა ჯანაშიას სარალიძე, გიორგიმ ამოიღო დანა და დაარტყა ერთხელ, ან რამდენჯერმე, – განაცხადა სუბელიანმა.

მისი თქმით, ლევან დადუნაშვილთან გუგა ბარბაქაძეს დანა გამოყენებული აქვს. ბარბაქაძემ და გიორგი მენაბდემ დანა გამოიყენეს დავით სარალიძესთანაც.

– ბარბაქაძესაც აქვს დანა გამოყენებული სარალიძესთან, მენაბდესაც, მაგრამ რამდენად რეალურია, ეს არ ვიცი. თვალი მოვკარი, ბარბაქაძემ ხელი მოუქნია დადუნაშვილს. რაღაც საგანი ეჭირა, ეს უფრო შემდეგ დღეებში აღვიდგინე, იმ მომენტში მეგონა, რომ უბრალოდ ჩხუბი იყო, ალბათ, დანა იყო, – განაცხადა სუბელიანმა.

სუბელიანმა სკოლის საპირფარეშოში დაწყებულ ინციდენტზე და შემდეგ განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა. მათ შორის, იმაზეც, თუ როგორ მიიყვანა ის მირზა სუბელიანმა პოლიციის განყოფილებაში.

როგორც სუბელიანმა განაცხადა, ის მიხეილ კალანდიას სავარაუდოდ, ტელეფონით შეეხმიანა და დახმარება სთხოვა, რაზეც მას დეიდაშვილმა უპასუხა, რომ არ ენერვიულა, რადგან მასთან მივიდოდა.

– ფაქტობრივად, შევრიგდით, როდესაც დათო სარალიძე უკანა ფლანგებში იყო, გამოვიდა და უხეშად დაიწყო საუბარი, რაზეც გიორგი ჯანაშიამ ხელი მიადო მხარზე და დამშვიდებისკენ მოუწოდა. სარალიძე აგინებდა, ვის ეხებიო, შეხლა-შემოხლა რომ დაიწყო, ბიჭები შუაში ჩადგნენ და დაიწყო გაშველება.

საბოლოო ჯამში, ვერ შეაკავეს ერთმანეთი და ჩხუბი ატყდა. ხალხი აშველებდა, ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა, სავარაუდოდ, სარალიძის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და გიორგიმ დაარტყა. ვიღაცამ დაიყვირა, სისხლიო, – განაცხადა სუბელიანმა.

# მიხეილ კალანდიას ძმა: „ორი წელია, კალანდიები ჩუმად ვიყავით და ყველამ თავზე გადაგვიარა“

– გაღიზიანება სარალიძის ფრაზამ გამოიწვია. ორი წელია, კალანდიები ჩუმად ვიყავით და ყველამ თავზე გადაგვიარა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს სასამართლოს ეზოში მიხეილ კალანდიას ძმამ, ლუკა კალანდიამ განუცხადა.

– გაღიზიანება ზაზა სარალიძის ფრაზამ გამოიწვია, ზურაბ თოდუას რომ უთხრა, ეს იყო განაჩენიო. რას ეძახის განაჩენს, ამდენი ხანი მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ არც ერთი მტკიცებულება რომ არ გამოჩნდა და იმას, რომ გარიგებაზე მიდის მკვლელებთან, რომ მიხეილ კალანდია დაიჭირონ?

ეს იყო ჩვეულებრივი პროვოკაცია სარალიძის თანმხლები პირის მხრიდან, რომელმაც მამაჩემს უთხრა, გამოდი შენ ერთი გარეთო. რომელი ადამიანი მოითმენდა ამას? ამდენი ხანია, შეურაცხყოფას ვითმენთ, ხმას არ ვიღებთ და ეს იმას ნიშნავს, რომ თავმოყვარეობა არ გვაქვს? ამდენი ხანი გარდაცვლილების სულებს პატივს ვცემდით, ორი წელი კალანდიები ჩუმად ვიყავით და ყველამ თავზე გადაგვიარა. დღეიდან ყველას გაეცემა პასუხი სამართლებრივად, – განაცხადა ლუკა კალანდიამ.

გუშინ, 23 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მირზა სუბელიანის შვილს კითხავდნენ, ხმაური იყო.

დაპირისპირება თავიდან მიხეილ კალანდიასა და და ზაზა სარალიძეს შორის მოხდა. კერძოდ, მოწმის დაკითხვისას პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა ზაზა სარალიძემ, რასაც დარბაზში მიხეილ კალანდიას მამის, თენგიზ კალანდიასა და ძმის, ლუკა კალანდიას მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

ისინი დარბაზიდან ზაზა სარალიძეს გაეკიდნენ.

# სასამართლომ ნოდარ რუხაძე და გიორგი შოთაძე უდანაშაულოდ ცნო

31 დეკემბერს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დროს დაკავებული ნოდარ რუხაძე და გიორგი შოთაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად არ ცნო და მათ მიმართ საქმის წარმოება შეწყვიტა.

იმავე დღეს დაკავებული კიდევ ერთი პირი რომან ფარულავა წვრილმან ხულიგნობაში ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნეს და 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს.

დაცვის მხარის განცხადებით, მოსამართლემ სამართალდამცველების მხრიდან წარმოდგენილ მტკიცებულებებში დაკავებულების ბრალეულობა ვერ დაინახა.

– რა მოტივებიც არ უნდა ედოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას, ძალიან მისასალმებელია განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ შეწყვიტა სამართალწარმოება დაკავებული პირების მიმართ. სხვა შესაძლებლობა არც არსებობდა არც პოლიციის წარმოდგენილი მტკიცებულებებით და განსაკუთრებით ჩვენ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ.

მსგავსი გაბედული ნაბიჯები სასამართლოს მხრიდან აჩვენებს, რომ რეალურად არსებობს რესურსი, მოსამართლეებმა სწორი ანალიზისა და სწორი მიდგომების საფუძველზე გამოიტანონ სწორი, ძალიან სამართლიანი გადაწყვეტილებები, – განაცხადა ადვოკატმა ედუარდ მარიკაშვილმა.

# პროკურორი ქვარცხავა: „თითოეული მოწმის ჩვენება შეფასდება“

– მას შემდეგ, რაც გამოკვლეული იქნება აბსოლუტურად ყველა მტკიცებულება, ბრალდების მხარე სახელმწიფო ბრალდების დასკვნით სიტყვაში მოახდენს თითოეული მოწმის ჩვენების შეფასებას, შემხებლობასა და მნიშვნელობას ბრალდებასთან მიმართებით.

ეს განცხადება დავით სარალიძის მკვლელობის საქმის პროკურორმა ბესიკ ქვარცხავამ გააკეთა.

მან მირზა სუბელიანის შვილის ალექსანდრე სუბელიანის დაკითხვასთან დაკავშირებით ისაუბრა, თუმცა აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე, ვიდრე მტკიცებულებების გამოკვლევა არ დასრულდება, შეფასებებისგან თავს შეიკავებს.

– არასრულწლოვანმა მოწმემ ისაუბრა მისთვის ცნობილ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მას თავის დროზე ასევე დაფიქსირებული ჰქონდა გამოძიების ეტაპზე, გამოკითხვის პროცესში.

რაც შეეხება უკვე შეფასებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული მოწმის ჩვენება ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების შინაარსთან მიმართებაში, მას შემდგომ, რაც ჩვენ დავასრულებთ მტკიცებულებების გამოკვლევას, მას შემდეგ, რაც გამოკვლეული იქნება აბსოლუტურად ყველა მტკიცებულება, ბრალდების მხარე სახელმწიფო ბრალდების დასკვნით სიტყვაში მოახდენს თითოეული მოწმის ჩვენების შეფასებას, შემხებლობასა და მნიშვნელობას ბრალდებასთან მიმართებით. ამ ეტაპზე ჩვენ არ შევალთ შეფასებაში, ვიდრე არ დავასრულებთ მტკიცებულებების გამოკვლევას, – აღნიშნა ქვარცხავამ.

პროკურორის განცხადებით, მოწმეების მხრიდან გაჟღერებული ნებისმიერი ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვანია, ხოლო მისი შეფასება, საბოლოო ჯამში, სასამართლოს პრეროგატივაა.

– თითოეული მოწმის ჩვენება შეფასდება. მხოლოდ ერთი მტკიცებულებით ან მხოლოდ ერთი ჩვენებით არ ხდება საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, ჩვენებები, მათ შორის ასევე ექსპერტების ჩვენებები, გარდა ამისა, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები საერთო ჯამში უნდა შეფასდეს, – განაცხადა საქმის პროკურორმა.

ამას გარდა, მან უპასუხა კითხვას, თუ რა ნივთიერი მტკიცებულება არსებობს მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ.

– მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არის წარმოდგენილი დაახლოებით 150-მდე პირის ჩვენება, გარდა მოწმეებისა, წარმოდგენილია ათეულობით წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

ჩვენ გადავალთ ნივთიერი მკტიცებულებების გამოკვლევაზე. ამ პროცესს თქვენც დაესწრებით და იხილავთ თითოეულ ნივთიერ მტკიცებულებას, – აღნიშნა ბესიკ ქვარცხავამ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# „ბავშვი დამხვდა გაფითრებული, შეშინებული, ატირებული, ეგონა, რომ დაჭერილი იყო“

## რა მოხდა გლდანის სავაჭრო ცენტრში

იძულების მუხლით მიმდინარეობს გამოძიება საქმეზე, რომლის მთავარი ფიგურანტიც 12 წლის ბიჭია.

არასრულწლოვანი გლდანში მდებარე სავაჭრო ცენტრის მინის კარს სკეიტბორდით დაეჯახა, რის შედეგადაც მინა გაიბზარა. ოჯახის წევრების ადგილზე მისვლამდე სავაჭრო ცენტრის დაცვის თანამშრომლებმა ბიჭი დაცვის უფროსის ოთახში შეიყვანეს.

ბიჭის მშობლები ამბობენ, რომ, ბავშვის თხოვნის მიუხედავად, მას წყალი არ დაალევინეს და უფანჯრო ოთახში მარტო დატოვეს. არასრულწლოვანს ეგონა, რომ დაკავებული იყო.

– ბავშვი იყო იქ ჩაკეტილი, როგორც სახლში მომიყვა, დაუტოვებიათ იქ, რამდენი ხნით, არ ვიცი, რომ მივედი, ბავშვი დამხვდა გაფითრებული, შეშინებული, ატირებული, ეგონა, რომ დაჭერილი იყო. წყალი სთხოვა ბავშვმა და წყალიც კი არ დაალევინეს, – აცხადებს არასრულწლოვანის მშობელი.

მომხდარ ფაქტს ეხმაურება არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილი.

– ყველა სამართლებრივ საშუალებას გამოვიყენებთ, რომ დანაშაულის პროპორციული სასჯელი მიიღონ დაცვის იმ თანამშრომლებმა და ხელმძღვანელმა პირებმა, ვისი უშუალო ბრალიც გამოიკვეთება, – განაცხადა ჩოფიკაშვილმა.

ბრალდებას სავაჭრო ცენტრის დაცვის უფროსი უარყოფს და ამბობს, რომ ბიჭი ოთახში მხოლოდ ბავშვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე აიყვანეს.

# „22 წლის ქალი კორონავირუსით არ გარდაცვლილა. ის გრიპის ბ ტიპის ვირუსით გარდაიცვალა“



ლაბორატორიულად დადასტურდა, რომ ქუთაისში 22 წლის ახალგაზრდა ქალი გრიპის ბ ტიპის ვირუსით გარდაიცვალა.

ამის შესახებ გუშინ, 23 იანვარს, „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა ქალი კორონავირუსით გარდაიცვალა, არ შეესაბამება სიმართლეს.

– რა თქმა უნდა, სამწუხარო ინფორმაციაა ახალგაზრდა ქალბატონის გარდაცვალება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივუსამძიმრო მის ოჯახს. ის ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა, რომ თითქოს ახალგაზრდა კორონავირუსით გარდაიცვალა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ეს უკვე ლაბორატორიულადაა დადგენილი. აღებული იყო ნიმუშში სინჯი და სწორედ 2 საათის წინ დასრულდა კვლევა ლუგარის ლაბორატორიაში, სამწუხაროდ აღნიშნული გარდაცვალების შემთხვევა არის დაკავშირებულია გრიპთან.

ლაბორატორიულად გრიპის ბ ტიპი დადგინდა. ეს ამ სეზონზე გრიპის გამო, ლაბორატორიულად დადგენილი გარდაცვალების მე-3 შემთხვევაა. თქვენი საშუალებით მინდა მივმართო მოსახლეობას, რომ არ აყვნენ დეზინფორმაციას, ამ შემთხვევაში არავითარ კორონავირუსთან საქმე არ გვქონია, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

გრიპის ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით მოთავსებული 22 წლის ქალი გუშინ, 23 იანვარს, გარდაიცვალა. ის თავდაპირველად ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში მკურნალობდა, თუმცა შემდეგ ქუთაისში გადაიყვანეს.

როგორც გარდაცვლილის ნათესავები აცხადებენ, გოგონას ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში შესაბამისი დახმარება ვერ გაუწიეს და მისი რეფერირება ქუთაისის საავადმყოფოში „უნიქალ მედში“ გახდა საჭირო, თუმცა დახმარება იქაც ვერ აღმოუჩინეს.

– თავიდანვე ვირუსზე იყი საუბარი ექიმებმა თვითონ მკითხეს, თქვენთან ვინმე უცხოეთიდან ხომ არ იყო ჩამოსულიო, ჩინურ მაღაზიაში ხომ არ იყო ნამყოფიო. ვირუსზე ჰქონდათ ეჭვი და ამიტომ იყო ამაზე ლაპარაკი, – განაცხადა გარდაცვლილის დედამ თამილა ჯაჭვლიანმა.

ოჯახის წევრების თქმით, გოგონა ქუთაისიდან თბილისში კატასტროფის მანქანით გადაყვანის დროს გარდაიცვალა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ოდიშარიამ „ლაივპრესს“ უთხრა, რომ პაციენტი, რომელიც მეძუძური დედაა, ქუთაისში გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ახლობლები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ და შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

# აშშ-ის სენატმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაამტკიცა

აშშ-ის სენატმა ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა დაამტკიცა. რესპუბლიკური პარტია სენატში უმრავლესობას წარმოადგენს, ამიტომ რესპუბლიკელებმა მიაღწიეს იმას, რომ ტრამპის ოპონენტებს თავიანთი არგუმენტების წარდგენისა და მათ სისწორეში სენატის დარწმუნებისთვის 3 დღის განმავლობაში 24 საათი მისცეს. ტრამპის ადვოკატებსაც ამდენივე დღის განმავლობაში ასევე 24 საათი გამოუყვეს. თუ რამე გაუთვალიწინებელი არ მოხდა, თებერვლის დასაწყისისთვის სენატი გამოიტანს თავის დასკვნას, რომელიც, სავარაუდოდ, ტრამპის სასარგებლო იქნება.

– იმპიჩმენტის პროცედურა, რომელიც რესპუბლიკელთა კონტროლქვეშ მყოფმა სენატმა დაამტკიცა, სამარცხვინოა, – აცხადებს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი.

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკელები ტრამპს ერთსულოვნად დაიცავდნენ, მოსალოდნელი იყო. მართალია, რესპუბლიკელთა ნაწილს ტრამპი არ მოსწონს, მაგრამ მხოლოდ ეს არაფერს ნიშნავს. ტრამპის იმპიჩმენტი რომ დამტკიცდეს, მრავალი რესპუბლიკელი სენატორის პოლიტიკური კარიერა დამთავრდება. მეტიც, იმპიჩმენტი როგორც რესპუბლიკელთა ელექტორატის, ასევე თავად პარტიის გათიშვასაც გამოიწვევს. ამიტომ რესპუბლიკელებმა სიმპათია-ანტიპათები დაივიწყეს და თანაპარტიელ პრეზიდენტს მხარში დაუდგნენ.

საიმპიჩმენტო პროცედურა მომავალი საპრეზიდენტო კამპანიის შემადგენელი ნაწილია. თებერვლის დასაწყისში ბევრი რამ გახდება ნათელი – ისიც, თუ როგორ მოახერხებს ტრამპი ხელისუფლებაში დარჩენას და ისიც, თუ რა ბაგაჟით წარდგება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.



სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მზად არის, სენატის წინაშე წარდგეს.

ჟურნალისტებთან საუბარში პომპეომ თავისი პოზიცია ნათლად დააფიქსირა. მისი აზრით, ტრამპი შესანიშნავი პრეზიდენტია, რომელმაც აშშ-ის შემდგომი წინსვლა უზრუნველყო, პრეზიდენტის მიმართ წაყენებული ბრალდებები კი არაობიექტურია.

– მზად ვარ, სენატს ჩვენება მივცე, რათა პრეზიდენტის უდანაშაულობის დამტკიცებაში დავეხმარო, – თქვა პომპეომ.

# ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტს მხარი დაუჭირა

ბრიტანეთის პარლამენტში დასრულდა ხანგრძლივი დებატები. ლორდთა პალატამ ევროკავშირიდან გასვლას მხარი დაუჭირა.

ახლა ყოველივე თავისი ხელმოწერით დედოფალმა უნდა დაამტკიცოს.

საპარლამენტო პროცედურების საბოლოო დასრულების შემდეგ გარდამავალი პერიოდი დაიწყება.

მან 11 თვეს უნდა გასტანოს.

# „ბელორუსი“

ვლადიმერ პუტინმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება.

– ეს დღის წესრიგში არ დგას, – თქვა მან.

ამავე დროს, პუტინმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა რუსეთ- ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნაზე. უნდა შეიქმნას ერთიანი პარლამენტი, ერთიანი ვალუტა, გაადვილდეს როგორც საქონლის, ასევე ადამიანთა გადაადგილება. ამ მიმართულებით ისედაც უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. ახლა მიღწეული უნდა განვითარდეს.

– მე და ჩემი ბელორუსი პარტნიორი ალექსანდრე ლუკაშენკო ბევრ საკითხზე უკვე შევთანხმდით. შექმნილია მუშა-ჯგუფები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, თუ როგორი იქნება რუსეთ-ბელორუსის მომავალი სამოკავშირეო სახელმწიფო, – თქვა პუტინმა.

მისი აზრით, რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ორი ქვეყნის გაერთიანებას არ ნიშნავს. ბელორუსის სუვერენიტეტი, პუტინისეული გაგებით, შენარჩუნებული იქნება.

– რას ნიშნავს სუვერენიტეტი? ეს არის გაეროში წარმომადგენლობა, საელჩოები საზღვარგარეთ. ეს შენარჩუნდება, – ამბობს პუტინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ინგლისის სანაპიროზე უზარმაზარი ამოუცნობი ცხოველი გამოირიყა

დიდ ბრიტანეთში უზარმაზარი ამოუცნობი ცხოველის გვამი აღმოაჩინეს, რომელიც სანაპიროზე ზღვის მოქცევამ გამორიყა.

ღია ფერის ავტომობილის ზომის საგანი ინგლისის ქალაქ იარმუტის 42 წლის მკვიდრმა ტიმ კარტერმა შენიშნა. ის თავის ძაღლთან ერთად ლა-მანშის ჩრდილოეთით, ტე-სოლენტის სრუტის სანაპიროზე სეირნობდა.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ეს პალმის ზეთის შედედებული მასა იყო, – ყვება ინგლისელი, – შემდეგ კარგად დავაკვირდი და მივხვდი, რომ ეს რაღაც ორგანული ნივთიერება და რამე მისი მსგავსი გახლდათ. მას ბეწვიანი სხეული ჰქონდა. მსგავსი რამ ადრე არასოდეს მინახავს.

კარტერმა ნანახის ფოტოსურათი ექსპერტებს გადაუგზავნა იმის გასარკვევად, თუ რა არსებასთან ჰქონდათ საქმე. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს დიდი ზომის ზვიგენის ან ვეშაპის ლეშთან, რომლის იდენტიფიცირება ძლიერი გახრწნის გამო ძალიან რთულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ობამეიანგს ბარსელონაში გადასვლა უნდა

ლონდონის არსენალში არასახარბიელო მდგომარეობაა. მეთოფეები პრემიერლიგაში მე-10 ადგილზე არიან და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მე-4 ადგილამდე 10 ქულა აშორებთ. კიდევ ერთი წელი ჩემპიონთა ლიგის გარეშე არსენალისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

უკმაყოფილოა გუნდის კაპიტანი პიერ-ემერიკ ობამეიანგიც. გაბონელს მიაჩნია, რომ იგი ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაშობდეს. მას მერე, რაც ბარსელონას ლუის სუარესი დაუშავდა, კატალონიური გრანდი ურუგვაელი ფორვარდის შემცვლელს ეძებს და ცნობილია, რომ ბარსას სასურველი თავდამსხმელების სიაში ობამეიანგის გვარიც ფიგურირებს.

ესპანური მედია წერს, რომ გაბონელმა ბარსელონას შეუთვალა, რომ მზადაა, მოლაპარაკებები დაიწყოს, მაგრამ კატალონიური გრანდის შეფები ჯერ არსენალის ხელმძღვანელებს უნდა დაელაპარაკონ.

ცხადია, არსენალს ტოპვარსკვლავის გაშვება არ სურს, მაგრამ, როგორც ირკვევა, თვითონ ობამეიანგი ითხოვს ბარსელონაში გადასვლას, რაც ლოგიკურია. შესაბამისად, ლონდონური კლუბი წნეხის ქვეშ არის.

აღსანიშნავია, რომ პიერ-ემერიკ ობამეიანგს არსენალთან კონტრაქტი 2021 წლამდე აქვს გაფორმებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი არსენალს მისი ტრანსფერით ფულის შოვნა სურს, ეს ზამთარი, ან მომავალი ზაფხული ფაქტობრივად ბოლო შანსია.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით კი არსენალის კიდევ ერთი ფეხბურთელით, გაბრიელ მარტინელით, მადრიდის რეალია დაინტერესებული. „სამეფო კლუბი“ 18 წლის ფეხბურთელში 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებს. ამ თანხის გადახდის შემთხვევაში, ბრაზილიელი ყველაზე ძვირად შეძენილი 18 წლის ფეხბურთელი იქნება.

არსენალს გაბრიელის გაყიდვა არ სურს და მისი ხელფასის სამჯერ გაზრდას გეგმავს. ამ დროისთვის მარტინელის ხელფასი კვირაში 10.000 გირვანქა სტერლინგია. „მეთოფეები“ აპირებენ, ახალგაზრდა ფეხბურთელს კვირაში 30.000 გირვანქა გადაუხადონ და გუნდში დატოვონ. მარტინელი მიმდინარე კონტრაქტის მიხედვით, ინგლისურ კლუბში 2024 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩეს.

ფორვარდი ლონდონის არსენალს 2019 წლის ზაფხულში შეუერთდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი მანამდე ბრაზილიაში თამაშობდა და იტუანოს ღირსებას იცავდა. გაბრიელმა პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში 13 მატჩი ჩაატარა და თავი 3 გოლით გამოიჩინა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# „ბელორუსი“

# დემნა გვასალიამ კერვა დაიწყო

ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ, რომლის უახლეს კოლექციებსაც თითქმის მთელი მსოფლიო უდიდესი ინტერესით ელოდება, კერვა დაიწყო.

ამის შესახებ მან ერთ-ერთი უცხოური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა:

– ბალენსიაგას ოტ კუტიურში დაბრუნების შემდეგ კერვა დავიწყე. სიმართლე უნდა ითქვას, არასდროს მიფიქრია, რომ ოტ კუტიურს შევკერავდი. ეს ძალიან წმინდაა, მით უმეტეს – ბალენსიაგაში. თავდაჯერებულობისთვის გარკვეული დრო დამჭირდა. შობის პერიოდში საკერავი მანქანის წინ 2 დღით დავჯექი და საკუთარი ტანსაცმლის კერვა დავიწყე. სკოლის შემდეგ ეს არ გამიკეთებია.

***– როგორ გაჩნდა პროექტის იდეა?***

– ამის შესახებ 2015 წლიდან ვფიქრობდი. ჩემი ერთ-ერთი მისიაც ეს იყო, მაგრამ რაღაცები ხელს მიშლიდა. სხვა მხრივ ჩვენი ზოგადი სტრატეგიის პრიორიტეტი აქსესუარების ბიზნესის განმტკიცება იყო. უნდა გვემუშავა, რათა კომერციულად სანდო ხედვა შეგვექმნა. პირადად მე დრო მჭირდებოდა, რომ მზადყოფნა მეგრძნო. 1 წლის წინ ამის შესახებ ბალენსიაგას პრეზიდენტსა და აღმასრულებელი დირექტორს სედრიქს ვუთხარი. ჩვენ განვიხილეთ და გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ. ხშირად ვამბობ, რომ ოტ კუტიური მოდის პირამიდის მწვერვალია ისეთი ბრენდისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, 100-წლიანი ისტორიით. მინდა, ეს მემკვიდრეობა საფუძვლად ვაქციო, რომ ვთქვა: „ჩვენ აქედან მოვდივართ და 50 წლის შემდეგ ვბრუნდებით იქ, საიდანაც მოვდივართ“. ჩემთვის ემოციურია, რომ ბრენდ ბალენსიაგას ოტ კუტიურ ხაზი, რომელიც დაიხურა ახალი პროექტების დაბადების გამო, ხელახლა დაიბადება იმავე პროექტების წარმატებიდან გამომდინარე. ეს წარმოუდგენელი იყო 5 წლის წინ, მაგრამ ეს სახლი და მისი დამფუძნებელი ამას იმსახურებს.

***– კრისტობალ ბალენსიაგა შენთვის მნიშვნელოვანი ფიგურა ჩანს.***

– კი, ჩემს ოფისში მისი ლამაზი სურათი მაქვს. სიმბოლურია. მის პორტრეტს ძალიან ხშირად ვუყურებ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს წარსულშიც იგივე მოხდა. კრისტობალ ბალენსიაგასთან სულიერ კავშირს ვგრძნობ. მე ბრენდის ღირსებაზე ხშირად ვსაუბრობ. ჩვენი საქმიანობის სისწორის ერთადერთი და პირველი საზომი ღირსებაა. ჩემი ესთეტიკა და გემოვნება ჩემს პირად გამოცდილებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მე მას კომპანიის სამსახურში ვიყენებ. ჩვენ შეგვიძლია, ბევრი განსხვავებული მიმართულებით წავიდეთ. ეს კოლექციებსა და პროექტებზეა დამოკიდებული, მაგრამ მთავარია, ბალენსიაგას ისტორია გონებაში გვქონდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ რაღაცას ვერ გავაკეთებთ, რადგან 1950-იან წლებში არ აკეთებდნენ. ჩვენ 50-იანებში აღარ ვართ.

# ქართული ესტრადის მემატიანე თემურ ჩხიკვაძე გარდაიცვალა

ქართული ესტრადის მემატიანე, საქართველოს ტელევიზიის დიქტორი, გადაცემა „მოამბის“ წამყვანი თემურ ჩხიკვაძე 70 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი გამორჩეული ხმა მაყურებელს ჯერ „მოამბის“ გადაცემებიდან დაამახსოვრდა, შემდეგ კი ტელეკომპანია „ევრიკაზე“ გადაცემა „სალონის“ წამყვანობიდან. იგი სხვადასხვა სფეროში ცნობილ ადამიანებს სტუდიაში იწვევდა და მაყურებლისთვის საინტერესო თემებზე ესაუბრებოდა:

**გივი გომელაური:**

– კიდევ ერთი ნაღდი თბილისელი, კეთილო, უბოროტო და სიკეთით სავსე კაცი, ქართული ესტრადის მემატიანე თემურ ჩხიკვაძე გარდაიცვალა. მრავალი წელი იყო საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის დიქტორი, მერე მოვიდა ჩემთან „ევრიკაზე“, სადაც მიჰყავდა ძალიან პოპულარული და აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაცემა „სალონი“. მაშინ გადაღებული გადაცემებით განებივრებულნი ვყავდით მისი მეგობრები.

ძალიან ხშირად გადაცემის დამთავრების შემდეგ გადაცემის სტუმრები გვეპატიჟებოდნენ. საბურთალოზე იყო სახინკლე „მოხევური“. მე ამას გავუძელი სამი წელი, მერე დიდი პერიოდი ხინკლისკენ ვერ ვიხედებოდი.

ბევრი უსამართლობა გადახდა თავს, მაგრამ არ ინახავდა ბოღმას, ძალიან გულიანი კაცი იყო. სამწუხაროა. მიდიან ნაღდი კაცები, იკარგებიან ქართული კოლორიტი პიროვნებები. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

# ანანიძე ანორთოსისში ითამაშებს

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ჯანო ანანიძე კარიერას კვიპროსულ ანორთოსისში გააგრძელებს. 27 წლის ნახევარმცველმა ახლახან მოსკოვის სპარტაკთან ხელშეკრულება გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა, ლარნაკაში ჩავიდა და კვიპროსულ კლუბთან ხელშეკრულება გააფორმა.

ტრანსფერი ანორთოსისის ვებგვერდმაც დაადასტურა და დაწერეს, რომ მხარეებს შორის 5-თვიანი ხელშეკრულება გაფორმდა, ანუ ანანიძე კვიპროსულ კლუბში სეზონის ბოლომდე ითამაშებს, შემდეგ კი მხარეები ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობას განიხილავენ.

**ჯანო ანანიძე:**

– ძალიან ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. ახალ ლიგაში საკუთარი თავის გამოცდა ჩემი მიზანი იყო. ამას კი ისეთ მშვენიერ გუნდში გავაკეთებ, როგორიც ანორთოსისია. მთლიან გუნდს და განსაკუთრებულად მწვრთნელს მადლობას ვუხდი, რათა ამის საშუალება მომცეს. თემურ ქეცბაიასთან საუბრის დროს მან მითხრა კლუბის მიზნებისა და ფილოსოფიის შესახებ, რის შემდეგაც გადავწყვიტე, ანორთოსისში გადმოსვლას დავთანხმებოდი. მიუხედავად იმისა, რომ წინადადებები მქონდა რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან, ბედნიერი ვარ ტრანსფერით.

ქეცბაიას ფაქტორი ანორთოსისში გადმოსვლის მთავარი მიზეზი იყო. ამას გარდა, კვიპროსში რამდენჯერმე სპარტაკთან ერთად შეკრებაზე ვყოფილვარ და ამ ქვეყნის შესახებ რაღაცები ვიცი: მაგალითად, ყოველთვის თბილა და გემრიელი საჭმელია, მაგრამ აქ ამისთვის კი არა, ანორთოსისთან ერთად წარმატების მისაღწევად ჩამოვედი. გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელობა მივანიჭე იმას, რომ ანორთოსისი ჩემპიონობისთვის იბრძვის, თავადაც ამბიციური ადამიანი ვარ და მსურს, ჩემი და კლუბის მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდეს.

გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ყველა თამაშზე მაქსიმალურად დავიხარჯები და 100%-ს გავცემ წარმატების მისაღწევად.

ფამაგუსტას ანორთსოსისის მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაა. გუნდი კი, რომელიც პოლიტიკური მიზეზების გამო ლარნაკაშია ბაზირებული, კვიპროსის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. ლიგაში ჩატარებული 15 მატჩის შემდეგ ქეცბაიას გუნდს 36 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ ომონიას, რომელსაც თამაშით მეტი აქვს, 4 ქულით უსწრებს. ანორთოსისი მომდევნო მატჩს 26 იანვარს სტუმრად სწორედ ომონიასთან ჩაატარებს.

ანანიძეს გუნდში თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კაჭარავა, გიორგი ლორია და მურთაზ დაუშვილი დახვდნენ.

ფეხბურთელის აგენტმა, თეიმურაზ ლეფსაიამ ქართველი ფეხბურთელის კვიპროსულ ანორთოსისში გადასვლის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ჯანოს ტრანსფერის მთავარი მიზეზი კვიპროსულ კლუბში სწორედ ქეცბაიასთან მუშაობაა.

**თეიმურაზ ლეფსაია:**

– ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რის გამოც მან ანორთოსისი აირჩია, ქეცბაიას ფაქტორი იყო, რომელიც ჯანოს დიდი ხანი იცნობს და მისი შესაძლებლობების შესახებაც კარგად იცის. თანაც კლუბში ბევრი ფეხბურთელია, რომელსაც ჯანო ეროვნული ნაკრებიდან იცნობს. მას კარიერის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა – თურქეთში, საბერძნეთსა და რუსეთში. ფინანსური კუთხით ეს წინადადებები უკეთესი იყო, თუმცა გადავწყვიტეთ, რომ გაცილებით მეტი მატჩის ჩატარება უფრო მნიშვნელოვანია. ჯანო 27 წლისაა, მაღალ დონეზე თამაში კიდევ ხანგრძლივი პერიოდი მოუწევს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანორთოსისი ჩემპიონობის კანდიდატია. ტიტულისთვის ბრძოლა ცხრილის შუაში ყოფნაზე საინტერესოა. ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაზე ფიქრი გადარჩენაზე ფიქრზე უკეთესია. შედარებით გრძელვადიან კონტრაქტს გვთავაზობდნენ, მაგრამ შეთანხმების სეზონის ბოლომდე გაფორმება ოპტიმალურ ვარიანტად ჩავთვალეთ. თუკი ჯანოს აქ მოეწონება, შესაძლოა, კიდევ გარკვეული პერიოდით დარჩეს. ჯანოსა და მთელ საქართველოს ერთა ლიგიდან ევრო 2020-ზე მოხვედრის იმედი აქვს, ამიტომ ნახევარწლიანი კონტრაქტის გაფორმება გადავწყვიტეთ, მერე კი ვნახოთ, რა ვარიანტები გამოჩნდება.

# წყალბურთელთა ნაკრები მე-9 ადგილისთვის იბრძოლებს

უნგრეთში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მორიგი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. რევაზ ჩომახიძის გუნდი მე-9-12 ადგილებისთვის ფლეი ოფში ჩაება, სადაც პირველ მატჩში თურქეთს შეხვდა და დამაჯერებლად დაამარცხა – 12:6.

ჩვენების უპირატესობა პირველივე მეოთხედში გამოიკვეთა, რომელიც გუნდმა 4:1 მოიგო. მე-2 პერიოდში ჩვენებმა ტემპი ოდნავ დააგდეს, მხოლოდ ფრეს (2:2) დასჯერდნენ და ტაიმი 6:3 მოიგეს.

შეხვედრის მე-2 ნახევარი პირველის ანალოგიური გამოდგა – მე-2 მეოთხედიც, პირველის მსგავსად, ნაკრებმა 4:1 მოიგო და მატჩის ბედიც გადაწყდა, ბოლო მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ისიც 2:2 დასრულდა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 6-ბურთიანი უპირატესობით მოიგო.

საქართველოს ნაკრებიდან ანდრია ბითაძემ და მიხეილ ბაღათურიამ ჰეთ ტრიკი შეასრულეს, ხვიჩა ჯახაიამ 2 გოლი შეაგდო, ხოლო თითოჯერ თავი დამირ ცრეპულიამ, რევაზ იმნაიშვილმა, გიორგი მაგრაქველიძემ და ბორის ვაპენსკიმ გაიტანეს.

ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა ათეულში ადგილი გაინაღდა, რაც ისტორიაში საუკეთესო მიღწევაა. მე-9 ადგილისთვის მატჩში საქართველოს ეროვნული გუნდი გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

# მორის ყვითელაშვილი მედლის შანსს ინარჩუნებს



ავსტრიის ქალაქ გრაცში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. ტურნირზე 5 ქართველი ასპარეზობს.

ვაჟთა მოკლე პროგრამაში 35 სპორტსმენი ჩაერთო, მათ შორის 2 ქართველი მორის ყვითელაშვილი და ირაკლი მაისურაძე.

24 წლის ყვითელაშვილი ყინულზე ბოლოსწინა გავიდა, მან საერთო ჯამში 82.77 ქულა დაიმსახურა. ტექნიკურ ელემენტებში მორისმა 45.05 ქულა მიიღო, ხოლო პროგრამულ კომპონენტებში 38.72. საბოლოოდ, მან მე-4 ადგილი დაიკავა და, ბუნებრივია, თავისუფალ პროგრამაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ეს მორისის საუკეთესო გამოსვლაა ამ სეზონში.

კვალიფიკაცია წარმატებით გაიარა 19 წლის ირაკლი მაისურაძემაც – 74.13 ქულა (ტექნიკური ელემენტები – 40.96 ქულა; პროგრამული კომპონენტები – 34.17). რაც საბოლოოდ მე-15 ადგილი აღმოჩნდა.

სულ კი, თავისუფალ პროგრამაში 35 მონაწილიდან 24 გავიდა. ლიდერობს ჩეხი მიხალ ბრეჟნინა – 89.77 ქულა. მე-2 ადგილზეა რუსი დმიტრი ალიევი (88.45). მე-3 პოზიციაზეა კიდევ ერთი რუსი არტურ დანიელიანი – 82.77.

გეტყვით, რომ ყვითელაშვილის საუკეთესო შედეგი ევროპის ჩემპიონატებზე მე-6 ადგილია, რომელიც 2017 წელს ჩეხურ ოსტრავაში აჩვენა. ახლა მას არა მარტო შედეგის გაუმჯობესების, არამედ, მედლის მოპოვების კარგი შანსი აქვს. ირაკლი მაისურაძე ევროპის ჩემპიონატებზე მესამედ ასპარეზობს, მისი საუკეთესო შედეგი მე-17 ადგილია (2018 წ.).

ევროპის ჩემპიონატზე ასევე იასპარეზებენ ალინა ურუშაძე (ქალთა ერთეულები) და მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილი (ყინულზე ცეკვები).

# ბითაძე უძულოდ, შერმადინი ისევ საუკეთესო

გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსი სტუმრად ფინიქს სანს დაუპირისპირდა და ანგარიშით 112:87 დაამარცხა.

ქართველმა ცენტრმა პარკეტზე მხოლოდ 3:35 წუთი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ქულა არ მოუპოვებია, თუმცა 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ბლოკი მოაგროვა.

შეხვედრაში ყველაზე მეტი, 25 ქულა თი ჯეი უორენმა ჩააგდო, ხოლო დომანტას საბონისმა კი 24 ქულა და 13 მოხსნა ჩაიწერა აქტივში. მაილს ტერნერმა 9 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა.

ამ მოგების შემდეგ ინდიანამ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე დაიბრუნა – პეისერსს 29 მოგება და 16 მარცხი აქვს.

გოგა ბითაძის გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად გოლდენ სტეიტთან გამართავს.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაზე მორიგი მატჩი მოიგო გიორგი შერმადინის ტენერიფემ. ესპანური გუნდი ამჯერად თურქეთს ესტუმრა და გაზიანთეფი 88:65 დაამარცხა.

გიორგის წინამძღოლობით ტენერიფელებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა, 20:14 დაწინაურდნენ, რის შემდეგაც ანგარიშში სხვაობას მხოლოდ ზრდიდნენ.

ვინაიდან, ესპანელთა გამარჯვებას საფრთხე არ დამუქრებია, მწვრთნელმა გიორგი შერმადინი საკმარისად დაასვენა და მხოლოდ 21 წუთი ათამაშა. ამ დროში ქართველმა ცენტრმა მაინც მოასწრო და მატჩის საუკეთესო გახდა: 20 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, მარგი ქმედების კოეფიციენტი – 27. გიომ 10-დან 8 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ტენერიფელთა გამთამაშებელმა მარსელინიო უერტასმა ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა – 17 პასი შეასრულა.

ესპანურ კლუბს 10 მოგება, 2 წაგება აქვს და თავის ჯგუფში პირველმეორე ადგილებს მაიკლ დიქსონის ნიმბურკთან იყოფს. მომდევნო მატჩს კი შინ ლატვიურ ვეფ რიგასთან გამართავს.

# ბასილაშვილმა ავსტრალია დატოვა

საქართველოს ნაკრების პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობას მე-2 წრეში გამოეთიშა. 26-ე ნომრად განთესილმა 27 წლის ქართველმა 31 წლის ესპანელ ფერნანდო ვერდასკოსთან (51-ე განთესვა) 4 სეტში წააგო – 6:4, 6:7, 4:6, 4:6.

ბასილაშვილმა პირველ სეტში პირველივე გეიმი აართვა მეტოქეს და სეტიც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. გადამწყვეტი მე-2 სეტი აღმოჩნდა, რომელიც ნიკამ ტაი ბრეიკში დათმო – 6:7. არადა, თავიდან ბრეიკით დაწინაურდა და მოგებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. თუმცა, ეს დიდი უპირატესობა ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ ჩვენებურმა 2-ვე სეტში დათმო თითო მოწოდება და ესპანელმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მატჩი 2 საათსა და 51 წუთს გაგრძელდა. ვერდასკომ 13 ეისი ჩააწოდა, ბასილაშვილმა – 4. ნიკამ 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ესპანელმა მხოლოდ – 3. ნიკამ თამაშში 58 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ქართველი ჩოგბურთელი მე-3 წრემდე გავიდა. ასე რომ, რეიტინგში მორიგ ქულებს დაკარგავს.

# შედეგები

## 22 იანვარი

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

ჩილე-ვენესუელა ..... 1:0
კოლუმბია-ეკვადორი ..... 4:0

**ინგლისი ჩემპიონიგა**

ლესტერი-ვესტ ჰემი ..... 4:1
ტოტენჰემი-ნორვიჩი ..... 2:1
მანჩესტერი-ბარნლი ..... 0:2

**საატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 22 | 21 | 1 | 0 | 52-14 | 64 |
| 2.სიტი | 24 | 16 | 3 | 5 | 65-27 | 51 |
| 3.ლესტერი | 24 | 15 | 3 | 6 | 52-24 | 48 |
| 4.ჩელსი | 24 | 12 | 4 | 8 | 41-32 | 40 |
| 5.მანჩესტერი | 24 | 9 | 7 | 8 | 36-29 | 34 |
| 6.ტოტენჰემი | 24 | 9 | 7 | 8 | 38-32 | 34 |
| 7.ვულვზი | 23 | 8 | 10 | 5 | 34-30 | 34 |
| 8.შეფილდი | 24 | 8 | 9 | 7 | 25-23 | 33 |
| 9.საუთჰემპტონი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 10.არსენალი | 24 | 6 | 12 | 6 | 32-34 | 30 |
| 11.კრ.პალასი | 24 | 7 | 9 | 8 | 22-28 | 30 |
| 12.ევერტონი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-35 | 30 |
| 13.ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 22-36 | 30 |
| 14.ბარნლი | 24 | 9 | 3 | 12 | 28-38 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 24 | 6 | 7 | 11 | 27-34 | 25 |
| 16.ასტონ ვილა | 24 | 7 | 4 | 13 | 31-45 | 25 |
| 17.ვესტ ჰემი | 23 | 6 | 5 | 12 | 27-38 | 23 |
| 18.ბორნმუთი | 24 | 6 | 5 | 13 | 23-37 | 23 |
| 19.უოტფორდი | 24 | 5 | 8 | 11 | 21-36 | 23 |
| 20.ნორვიჩი | 24 | 4 | 5 | 15 | 24-47 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

ნოტინგემი-რედინგი ..... 1:1
ჩარლტონი-ფულემი ..... 0:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

იბიცა-ბარსელონა ..... 1:2
ელჩე-ბილბაო ..... 1:1 (4:5პ)
ბადალონა-გრანადა ..... 1:3 (დდ)
ხირონა-ვილიარეალი ..... 0:3
სოსიედადი-ესპანიოლი ..... 2:0
ტენერიფე-ვალიდოლიდი ..... 2:1
ლოგრონიესი-ვალენსია ..... 0:1
სალამანკა-რეალი ..... 1:3

**იტალია. თასი**

იუვენტუსი-რომა ..... 3:1

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

რეიმსი-პსჟ ..... 0:3

**ნიდერლანდები თასი**

ერაკლესი-ვიტესი ..... 0:2
აიაქსი-სპაკენბურგი ..... 7:0
ჰერენვენი-ტილბურგი ..... 2:2 (4:3პ)

**ჰოხტენგაღია. ლიგის თასი**

გიმარაეში-პორტუ ..... 1:2

**მოტლანდია. ჩემპიონიგა**

აბერდინი-მოზერველი ..... 0:1
კილმარნოკი-სელტიკი ..... 1:3
ლივინგსტონი-სტ.ჯონსონი ..... 1:0
რეინჯერსი-სტ.მირენი ..... 1:0
როსი-ჰართსი ..... 0:0
ჰიბერნიანი-ჰამილტონი ..... 2:1

**ბელგია. თასი**

ბრიუგე-ვარეგემი ..... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პანეთოლიკოსი ..... 2:2
ვოლოსი-აეკი ..... 1:3
ოფი-ოლიმპიაკოსი ..... 0:1
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი ..... 3:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია ჩემპიონობა – ვაჟები**

მედვედევი-მარტინესი ..... 7:5,6:1,6:3
ბოლტი-ტიმი ..... 2:6,7:5,7:6,1:6,2:6
ბედენე-გულბისი ..... 5:7,3:6,2:6
გერასიმოვი-ა.ზვერევი ..... 6:7,4:6,5:7
მუნარი-პოპირინი ..... 2:6,6:7,2:6
მონფილსი-კარლოვიჩი .. 4:6,7:6,6:4,7:5
სუგიტა-რუბლიოვი ..... 2:6,3:6,6:7
ბასილაშვილი-ვერდასკო ... 6:4,6:7,4:6,4:6
ისნერი-ტაბილო ..... 6:4,6:3,6:3
იუმერი-ხაჩანოვი ... 2:6,6:2,4:6,6:3,6:7
გოფინი-ერბერი ..... 6:1,6:4,4:6,1:6,6:3
კირგიოსი-სიმონი ..... 6:2,6:4,4:6,7:5
გოევჩიკი-კარენობუსტა .. 4:6,1:6,6:1,4:6
სეპი-ვავრინკა ..... 6:4,5:7,3:6,6:3,4:6
ფრიცი-ანდერსონი . 4:6,6:7,7:6,6:2,6:2
ნადალი-დელბონისი ..... 6:3,7:6,6:1

**ქალები**

ბენჩიჩი-ოსტაპენკო ..... 7:5,7:5
მუგურუზა-ტომლიანოვიჩი ... 6:3,3:6,6:3
ვეკიჩი-კორნე ..... 6:4,6:2
ზიგემუნდი-პლეშკოვა ..... 3:6,3:6
დიასი-ბლინკოვა ..... 4:6,6:3,6:4
ბელისი-მუხოვა ..... 6:4,6:4
ჰონი-კერბერი ..... 3:6,2:6
მერტენსი-უოტსონი ..... 6:3,6:0
როდიონოვა-ბერტენსი ..... 3:6,5:7
ტორმო-კონტევეიტი ..... 2:6,6:4,1:6
სვიატეკი-ნავარო ..... 6:3,7:5
პავლუჩენკოვა-თაუნსენდი ..... 7:5,7:6
დარტი-ჰალეპი ..... 2:6,4:6
კუზნეცოვა-ჯორჯი ..... 3:6,1:6
კოლინზი-პუტინცევა ..... 4:6,6:2,5:7

*მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა*

# ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის ჩამოტანილი სილა, ღორღი, თიხა; 3. დედამიწის აგებულებისა და შემადგენლობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. მოხატული და ორნამენტებით შემკული ოთახის ჭერი; 5. ყურძნის დასაწური ხის ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 14. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის მქონე ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. შვეიცარიის დედაქალაქი; 18. რევაზ ლაღიძის ოპერა.

**თარაზულად:** 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 8. უბანი ძველ თბილისში; 10. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 11. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. მკვრივი ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 19. თურქეთის პრეზიდენტი; 20. მხარე გერმანიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ალმასი; 5. მორიკონე; 8. ტრიუდო; 11. ბადაგონი; 12. იოკასტე; 16. დანტე; 17. ფრაჟე; 18. სიგმა.

**თარაზულად:** 1. პროლოგი; 5. ჩექმა; 7. მუხთალი; 9. ზანური; 10. მარშალი; 13. დიადორა; 14. დასინი; 15. ფოკა; 19. ბალზაკი; 20. გრუნდიგი; 21. ჰეინიკენი; 22. ქიმერა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუმატრა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. მერანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუვა; 17. მანია; 18. ლისი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. კაჰორი; 15. ნანდუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისლანდია; 20. ნეგროიდი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8867

ევრო — 3.2005

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7899

100 რუსული რუბლი — 4.6576

## ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის







**21 იანვრიდან**

**რევაზ მიშველაძე**

## ქრისტე

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




**28 იანვრიდან**

## ბიბლიური იგავები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## „შინდისის“ ჩვენებამ ამერიკაში ანშლაგით ჩაიარა

რეჟისორ დიმიტრი ცინცაძის ფილმის „შინდისის“ ჩვენებამ ამერიკაში სანტა ბარბარას საერთაშორისო კინოფესტივალზე სრული ანშლაგით ჩაიარა.

600-კაციანი დარბაზი მაყურებლებით გაივსო და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ გადაღებული ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა კიდევ ერთი წარმატება გაიზიარა.

ფილმი მაყურებელს უყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. ეს არის რეალურად მომხდარი ამბავი ჩვენი დროის კავკასიური ომიდან, ადგილობრივი გლეხების თავდადება და ჩასაფრებაში მომწყვდეული ჯარისკაცების ბრძოლა სიცოცხლისთვის.

ფილმის მსოფლიო პრემიერა ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც „შინდისს“ ფესტივალის გრან პრი და საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადაეცა.

დიმიტრი ცინცაძის ფილმი საქართველომ „ოსკარზეც“ წარადგინა, თუმცა ფილმი რჩეულთა ნუსხაში ვერ მოხვდა.

წელს სანტა ბარბარას კინოფესტივალი 35-ედ იმართება, საპატიო სტუმრები კი ბრედ პიტი, ლაურა დერნი, სკარლეტ იოჰანსონი, ადამ დრაივერი და რენე ზელვეგერი არიან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

**24 იანვრისთვის**

**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **კურო** – ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **ტყუპები** – პლანეტები გაფრთხილებენ – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით. **კირჩხიბი** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **ლომი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი და წარმატებული დღეა. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. მარტოხელებმა, შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **ღრიანკალი** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. პროფესიულ სფეროში ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. ასევე ერიდეთ რისკთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს დაუშვებელია. დიდია შეცდომის ალბათობა. თქვენს ცხოვრებაზე მერკურის ზეგავლენა ფინანსურ კრახს გამოიწვევს. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ მაღალ დონეზე გაქვთ. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. საპირისპირო სქესი თქვენით დაინტერესებულია. **თევზები** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. ფულთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს აუცილებლად დაისვენეთ, უმჯობესია, თუ განმარტოვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– სამსახურიდან შვებულებაში არ მიდიხარ, დასვენება არ გინდა?

– არა, ჩვენი ერთი თანამშრომელი გავიდა შვებულებაში და მთელმა კოლექტივმა დავისვენეთ!

•••

ქალი მკითხავთან მივიდა და ეკითხება:

– როგორ შეიძლება, რომ გავახალგაზრდავდე?

– ქალაქის გამგეობის შენობის თავზე საათის ისრები უკან დაატრიალე და გაახალგაზრდავდები.

ქალს თავად ასვლა დაეზარა, ზევით ქმარი გაგზავნა, თვითონ კი ქვევით დარჩა. ქმარი საათის ისრებს უკან ატრიალებს, ქვევიდან კი ბავშვის ხმა ეძახის:

– გეყოფა, გეყოფა!

– არა, ახლა უკანვე შეგაგდებ და დედაშენს აბორტის გაკეთებას ვაიძულებ!

•••

ავადმყოფი პალატაში შესულ ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ასე კარგად თავს რატომ ვგრძნობ?

– მაპატიეთ, წვეთოვანი შემეშალა!

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– ფუნთუშა გინდა?

– მადლობა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით. ჩვენ ხომ ვსაუბრობთ და ხომ არ შემიძლია, ერთდროულად ვჭამო და ვილაპარაკო.

– ვიცი. ფუნთუშა გინდა?

•••

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– აღარ მირეკავ... რა, აღარ გიყვარვარ?

– დალევას თავი დავანებე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კიკე სეტიენი: „იბიცასთან თამაშით კმაყოფილი არ ვარ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა ესპანეთის თასზე იბიცას წინააღმდეგ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის თავისი გუნდისგან უფრო მეტს ელოდა.

ბარსელონამ მესამე დივიზიონის გუნდი მხოლოდ გრიზმანის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა:

– პირველ ტაიმში ჩემი გუნდის თამაში არ მომეწონა. ბურთს ხშირად ვკარგავდით და მეტოქეს შეტევის კარგი შანსი ეძლეოდა. მეორე ტაიმში თამაშის ხარისხი გამოვასწორეთ და ამან შედეგი მოიტანა. უნდა აღვნიშნო იბიცას კარგი თამაში. ის მოწოდების სიმაღლეზე იყო.

## მანჩესტერ იუნაიტედი სოლსკიაერს არ გაუშვებს

მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე ბარნლისთან 0:2 დამარცხდა, რის შემდეგაც აქტიურად დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ.

გუნდის ხელმძღვანელობამ სოლსკიაერს ნდობა განუცხადა და მისი წასვლა არ განიხილება, თუმცა ნორვეგიელი სპეციალისტისგან უკვე ითხოვენ შედეგებს.

გულშემატკივრების ნაწილი თვლის, რომ სოლსკიაერი თავის მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებს.

## პსჟ კავანიში 23 მილიონს ითხოვს

ედინსონ კავანის სატრანსფერო საგა გრძელდება და ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ურუგვაელი ფორვარდი კარიერას. მისი ატლეტიკოში ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით კავანის ესპანეთში გადასვლა გაჭიანურდა.

ამჯერად კავანის მიმართ დაინტერესებას ლონდონის ჩელსი იჩენს, მაგრამ ლონდონელებს კავანის იჯარით აყვანა უნდათ, პსჟ-ს კი მისი გაყიდვა სურს.

ურუგვაელის სატრანსფერო ფასი 23 მილიონი ევროა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## უკრაინელმა ქალწულობა 1,2 მილიონ ევროდ გაყიდა

უკრაინის ქალაქ ხარკოვის მკვიდრმა 19 წლის გოგონამ საკუთარი ქალწულობა 1,2 მილიონ ევროდ გაყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონამ, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს, საკუთარი ქალწულობა ინტერნეტ-აუქციონზე ერთ-ერთი ესკორტ-სააგენტოს გვერდზე გამოიტანა. სასტარტო ფასი 100 ათას ევროს შეადგენდა, თუმცა ვაჭრობის დროს მისმა ფასმა 1,2 მილიონ ევროს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ აუქციონის გამარჯვებული 58 წლის მიუნხენელი ბიზნესმენი გახდა, რომელიც ფიტნეს-კლუბების მფლობელია. მან მოახერხა გადაეფარა ნიუიორკელი ადვოკატის შეთავაზება, რომელიც მზად იყო მილიონი ევრო გადაეხადა, ხოლო მომღერალი ტოკიოდან 800 ათასი ევროს გადასახდელად იყო მზად.

ცნობილი გახდა, რომ უკრაინელი გოგონას და აუქციონის გამარჯვებულის შეხვედრა გერმანიაში შედგება. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ მასზე იქორწინოს და თვეში 10 ათასი ევრო გადაუხადოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## აჩიკო ნიქარაძე პირველ არხს უპატივცემულობაში ადანაშაულებს



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე პირველ არხს უპატივცემულობაში ადანაშაულებს. ამის მიზეზი ბიძინა კვერნაძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტის ანონსში მომღერლის იგნორირება გახდა:

– 1 არხს, როგორც ყოველთვის, დიდი მადლობა პატივისცემისთვის.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ამხელა დრო რომ დაუთმეთ ჩემს პიროვნებას. ვინც ანონსს ნახავთ, იცოდეთ, რომ ამ კონცერტში მეც ვიმღერე. ანონსის ნახვით ვერ მიხვდებით, ამიტომ კონცერტს უყურეთ.

ცნობისათვის, შედგა ბიძინა კვერნაძის ახალი სიმღერის პრემიერა. მე და ჩემს შემოქმედებას თავი რომ დავანებოთ, ამ მიზეზის გამო მაინც უნდა მოხვედრილიყო ანონსში ჩემი გამოსვლის თუნდაც 2 წამი, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი წინ არის.

ეს არის, უბრალოდ, უპატივცემულობა, ჩემი აზრით!

## ნიკა აგლაძეს ოპერაცია ჩაუტარდა

ინტელექტკლუბის „რა? სად? როდის?“ მოთამაშე ნიკა აგლაძეს ოპერაცია ჩაუტარდა. ოპერაცია 31 იანვარს იყო დანიშნული, თუმცა იგი დათქმულ ვადაზე ადრე გაკეთდა.

ისტორიკოსსა და ლიტერატორს თავის ტვინის კავერნომა აქვს და თურქეთში გაკეთებული ოპერაცია წარმატებული არ აღმოჩნდა. ნიკას ნეიროქირურგიული ჩარევა დასჭირდა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მის დასახმარებლად მეგობრებმა საქველმოქმედო აუქციონი მოაწყვეს.

ნიკას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მისმა უახლოესმა მეგობარმა ლექსო დორეულმა გაავრცელა:

– მეგობრებო, ვიცი, რომ ბევრს გაინტერესებთ: კარგად ჩაიარა ნიკა აგლაძის ოპერაციამ! უფრო დეტალურად – ცოტა ხანში.

ნიკას დამ ნინა აგლაძემ კი განაცხადა:

– გამოდის ნარკოზიდან ნელ-ნელა, ფეხებს, ხელებს ამოძრავებს, ხედავს და ყველაფერზე რიგზეა, ექიმს გაესაუბრებიან ცოტა ხანში. მე მგონი, ვიგებთ ბროლის ბუს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯოსვოიდი ა



**შვეულად:** 1. გვარი, ჯიში, მოდგმა; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართული სადაზღვევო კომპანია; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. აეროპორტი ლონდონში; 16. ხშირი ტყიანი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. იტალიური სამოდელო ფირმა.

**თარაზულად:** 1. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. წყლის, ნავთობის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი დირიჟორი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი, მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარე; 20. ფილატელისტის ალბომი; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*